

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

**პირადი არქივების
აღწერილობა**

3

თბილისი 2010

სერიის მთავარი რედაქტორი

ბუბა კუდავა

სერიის სარედაქციო კოლეგია

ზაზა ალექსიძე, თამარ გეგია, შალვა გლოველი,
გიორგი კალანდია, გოჩა საითიძე, ეთერ ქავთარაძე,
მიხეილ ქავთარია

ISSN 1987-5304

ISBN 978-99940-??

© ხელნაერთა ეროვნული ცენტრი, 2010.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის,
უწმიდესის და უნეტარესის
ამგროსი ხელაიას
პირადი არქივის აღწერილობა

შეადგინეს მიხეილ ქავთარიამ, მილა მეტრეველმა და
ირმა ხოსიტაშვილმა

რედაქტორი მიხეილ ქავთარია

სარჩევი

I. შესავალი	7
II. გოჩა საითიძე, ირმა ხოსიტაშვილი – ამბროსი ხელაია (ცხოვრება- მოღვაწეობა)	9
III. ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა ამბროსი ხელაიას ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ	32
IV. შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა	35
V. მიმონერა	74
VI. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სხვა საარქივო ფონდებში დაცული მასალა ამბროსი ხელაიას შესახებ	75
VII. საქართველოს საისტორიო არქივში დაცული მასალა ამბროსი ხელაიას შესახებ	80
VIII. ლიტერატურის ისტორიის მუზეუმში დაცული მასალა ამბროსი ხელაიას შესახებ	89
IX. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას შვილთაშვილის ანა კლდიაშვილის პირად კოლექციაში დაცული მასალა ამბროსი ხელაიას შესახებ	90
X. ამბროსი ხელაიას პირადი არქივის აღწერილობის კატალოგების შემაჯერებელი ცხრილი	93
XI. საძიებლები	97

შესავალი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ამბროსი ხელაიას (1861-1927 წწ.) პირადი არქივი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ 1978 წელს გადასცა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გარდა, საარქივო მასალები ამბროსი ხელაიას შესახებ დაცულია საქართველოს საისტორიო არქივსა და გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის მუზეუმში. როგორც ცნობილია, ამბროსი ხელაიამ სასულიერო განათლება რუსეთში მიიღო. შემდგომში იგი ორჯერ გადაასახლეს რუსეთში და წლების განმავლობაში იქ მოღვაწეობდა. შესაბამისად, მისი არქივის გარკვეული ნაწილი რუსეთში ინახება.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წყაროს როგორც XX საუკუნის I ნახევრის საქართველოს ეკლესიის ისტორიის, ისე თავად კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლის თვალსაზრისით.

ამბროსი ხელაიას პირადი არქივი 2001 წელს დაამუშავეს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებმა – მიხეილ ქავთარიამ და მილა მეტრეველმა (რუსული ნაწილი), ხოლო 2009 წელს აღნიშნული არქივი გადამუშავა ამავე ცენტრის თანამშრომელმა ირმა ხოსიტაშვილმა.

ამბროსი ხელაიას პირადი არქივი 342 საარქივო ერთეულს შეიცავს. გადამუშავების შედეგად დაიშალა სამი საარქივო ერთეული: №№ 253, 283 და 296. ამას გარდა, არქივს შეემატა ორი საარქივო ერთეული: 1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდში დაცული ამბროსი ხელაიას ნაშრომი „ბედიის ტაძარი“ (Q 587) გადმოვიტანეთ მის პირად არქივში და 2. ლიტერატურის ისტორიის მუზეუმში დაცული რომანოზ ფანცხავას პირად არქივში არსებული ამბროსი ხელაიას წერილის ასლი (№ 34476).

აღწერილობას ბოლოში დართული აქვს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალის ცნობარი ამბროსი ხელაიას შესახებ, ასევე საქა-

რთველოს საისტორიო არქივსა და ლიტერატურის ისტორიის მუზეუმში დაცული რამდენიმე საარქივო ერთეულის აღწერილობა და ამბროსი ხელაიას შვილიშვილის ანა კლდიაშვილის პირად არქივში დაცული მასალა.

აღწერლობაში მასალა დალაგებულია თემატურად და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით: I) შესავალი; II) ამბროსი ხელაია (ცხოვრებამოღვაწეობა); III) ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა ამბროსი ხელაიას ცხოვრებამოღვაწეობის შესახებ; IV) შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა; V) მიმოწერა; VI) ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის სხვა საარქივო ფონდებში დაცული მასალა ამბროსი ხელაიას შესახებ; VII) საქართველოს საისტორიო არქივში დაცული მასალა ამბროსი ხელაიას შესახებ; VIII) ლიტერატურის ისტორიის მუზეუმში დაცული მასალა ამბროსი ხელაიას შესახებ; IX) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას შვილთაშვილის ანა კლდიაშვილის პირად კოლექციაში დაცული მასალა ამბროსი ხელაიას შესახებ; X) ამბროსი ხელაიას პირადი არქივის აღწერილობის კატალოგების შემაჯერებელი ცხრილი; XI) საძიებლები.

დაბოლოს, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ბატონ გოჩა საითიძეს წინამდებარე აღწერილობის გამოსაცემად გაცეული დახმარებისათვის.

II

ამბროსი ხელაია

ცხოვრება-მოღვაწეობა

„ჩემი სული ეკუთვნის ღმერთს, გული – სამშობლო საქართველოს, ხოლო ლეში თქვენ დაგრჩეთ საჯიჯგნად, ჯალათებო! – ალბათ, ბევრს სმენია ეს სიტყვები, ბევრმა ისიც უნყის, რომ მათი ავტორი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი ხელაია გახლავთ და ამ სიტყვებით მიმართა მან საქართველოს დამპყრობელ-დამმონებელ ქართველებსა თუ არაქართველებს მის წინააღმდეგ მოწყობილ სასამართლო პროცესზე. მაგრამ ჩვენი საზოგადოებრიობის ფართო წრეებისათვის, ჯერჯერობით, შედარებით ნაკლებად არის ცნობილი ამ უდიდესი საეკლესიო მოღვაწისა და პატრიოტის ცხოვრების გზა, გზა, რომლის გვირგვინიც 1995 წლის 18-19 სექტემბერს მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში გამართულ საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე მიტროპოლიტ ნაზარისთან, გაბრიელ ეპისკოპოსთან, არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძესა და სხვა დიდ მამულიშვილებთან ერთად მისი წმინდანად შერაცხვა იყო.

მართალია, ამბროსი ხელაიას შესახებ გამოქვეყნებულია რამდენიმე პუბლიკაცია, რომელთა შორისაც დავასახელებდით ს. ვარდოსანიძის, გ. კობახიძის, ჯ. გამახარიას, გ. საითიძის, ა. მინდიაშვილის, შ. ჭელიძის, ზ. ჟვანიას, ვ. გურგენიძის, გ. ბუღაძის, ა. კლდიაშვილის, ი. ნიჟარაძის და სხვათა ნაშრომებს, ე. გიორგაძის მიერ შედგენილ კრებულს, მიძღვნილ წმინდა ამბროსის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ ამბროსი ხელაია ჯერ კიდევ ელის იმ დაფასებას, რომელსაც იგი იმსახურებს.

ამბროსი (ერისკაცობაში ბესარიონ) ზოსიმეს ძე ხელაია დაიბადა 1861 წლის 7 სექტემბერს სოფელ ინჩხურში (ახლანდ. მარტვილის რაიონში). მამა – ზოსიმე დავითის ძე ხელაია ილორის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელი იყო, დედა – ბზეხა ნიკოლოზის ასული გახლდათ. ბესარიონ ხელაია ილორში გაიზარდა, დაწყებით განათლებას

ოჯახში ეზიარა. 1871-1873 წლებში სწავლობდა ოჩამჩირის პირველდანი-
ყებით სკოლაში, ხოლო 1873-1879 წლებში – მარტვილის სასულიერო
სასწავლებელში.

1879 წელს ბესარიონ ხელაია თბილისის სასულიერო სემინარიაში
ჩაირიცხა. გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ზაქარია ჭიჭინა-
ძის თქმით, „ამბროსი თბილისის სემინარიაში სწავლის დროს ირიცხებო-
და საუკეთესო მოწაფედ; იგი როგორც საკლასო სწავლის საქმეში იყო
ყოჩალი, ისეთივე გახლდათ საქვეყნო წიგნების კითხვაშიც; ამხანაგებშიც
იყო სამაგალითო ამხანაგი, ყველას მოყვარე და ყველას საყვარელი თა-
ვის კეთილის, პატიოსანის ქცევითა და ღირსებით.

მაშინ სემინარიის მოწაფეთა შორის ძალიან იყო გავრცელებული
კოსმოპოლიტობა, ბევრს მაშინდელ გმირებს არც საქართველო სწამ-
დათ, არც ქართველობა, არც ქართული ენის პირობების ძიება. ამგვარი
პირებისაგან ამბროსი ყოველთვის შორს იდგა. იგი იყო უაღრესად
მოყვარე თავის სამშობლო ქვეყნის, თავის ერის, ქართული მწერლო-
ბისა და საქართველოს ისტორიის. ამ დროს ამბროსის ხშირი მიმოსვლა
ჰქონდა ჩემთან, წიგნების შესახებ ლაპარაკი, მსჯელობა და ყოველთ-
ვის გულწაღული იყო ქართველი ერის ასე დაცემასა და დაქვეითება-
ზედ. სძულდა სასტიკად უგულო ამხანაგები, ნამეტურ ისინი, რომელნიც
ხშირად საქართველოსაც წარა-მარად უარყოფდნენ“.

ბესარიონ ხელაიას თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის
პერიოდზე საინტერესო ცნობა მოიპოვება ცნობილი პოლიტიკური და
საზოგადო მოღვაწის, საქართველოში მარქსისტული ორგანიზაციის –
„მესამე დასის“ ერთ-ერთი დამაარსებლის ისიდორე რამიშვილის (1859-
1937 წწ.) ჯერჯერობით გამოუქვეყნებელ მოგონებებში (ამ დროს ეს
უკანასკნელიც სასულიერო სემინარიაში სწავლობდა – გ. ს.). ი. რამიშ-
ვილის ცნობით, ნაკლებად ნიჭიერ და ბეჯით მოსწავლეებს გაკვეთილე-
ბზე თავის გადარჩენის საგანგებო მეთოდი ჰქონდათ შემუშავებული:
„საჭირო იყო, ყოველ შემთხვევაში, რაიმე სცოდნოდათ, სავალდებულო
საგნებიდან იმდენი მაინც, რომ თავი გადაერჩინათ გამორიცხვისაგან...
ამისათვის იმათ ყავდათ აჩემებული ორი-სამი საუკეთესო მოწაფე, რომ-
ლებიც ყოველთვის ბეჯითად ამზადებდნენ გაკვეთილებს და რომლებ-
საც ჯგუფი ყოველი გაკვეთილის წინ შემოეხვევოდა და ალაპარაკებდა
გაზეპირებულ გაკვეთილებს. იმათ ლაპარაკიდან იმდენი მაინც ამოქონ-
დათ, რომ თუ მოხვდებოდა მარცხი და მასწავლებელი გამოუძახებდა,
ცოტაოდენი რამ მაინც სცოდნოდა. ეს ბეჯითი მოწაფეები არ იზა-
რებდნენ ჩვენ დახმარებას. ასეთები იყვნენ ბესარიონ ხელაია (შემდეგ
კათალიკოსი ამბროსი), რუსი მოწაფე ზემსკი, კონსტანტინე ჟორდანია
და ორიოდე კიდევ სხვა“.

1885 წელს სემინარიის დასრულების შემდეგ, ბესარიონ ხელაიას სწავლის გაგრძელება რომელიმე უნივერსიტეტში სურდა, მაგრამ ოჯახური პირობების გამო ვერ მოახერხა. 1887 წლის 25 მარტს ბესარიონ ხელაია სოხუმის ეპისკოპოსმა გენადიმ ჯერ სოხუმის საკათედრო ტაძრის დიაკვნად, ხოლო იმავე წლის 19 აპრილს სოჭის მიქაელ მთავარანგელოზის ტაძრის მღვდლად აკურთხა. აქ იგი მეუღლესთან – ელისაბედ ალექსის ასულ მერჩულესთან ერთად 1892 წლამდე ცხოვროვდა და მსახურობდა. პირველი ვაჟიშვილი – ანდრია რამდენიმე თვისა გარდაეცვალა. მოგვიანებით მათ შეეძინათ: ალექსანდრე, ნინო და ანა.

1892 წლის 29 სექტემბრიდან ბესარიონ ხელაია სოხუმის საკათედრო ტაძრის მღვდელი და ეპარქიის საეკლესიო-არქეოლოგიური კომისიის წევრი და ხაზინადარია. 1893 წლის 17 ივნისს იგი სოხუმის საკათედრო ტაძრის კანდელაკი გახდა. 1894 წელს ბესარიონ ხელაია სოხუმის მთიელთა სკოლის სჯულის კანონის მასწავლებლად და საეპარქიო საეკლესიო საძმოს, მასში შემავალი სასწავლო საბჭოს წევრად და კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების სოხუმის, ახალი ათონისა და ლიხნის საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველად დაინიშნა. ეწეოდა აქტიურ, ნაყოფიერ მისიონერულ მოღვაწეობას ადგილობრივ მაჰმადიან აფხაზთა მოსაქცევად და მათთვის საღი აზროვნების ჩამოსაყალიბებლად.

1896 წელს ბესარიონ ხელაია დაქვრივდა. მომდევნო წელს სასწავლებლად ყაზანის სასულიერო აკადემიაში შევიდა. ცნობილი ქართველი ლიტერატორი, იმ დროს ყაზანში მყოფი იპოლიტე ვართაგავა შემდგომში იგონებდა: „როცა ამბროსიმ ყაზანში დაიწყო სწავლა, უკვე 36 წლის იყო, ჭალარაშერეული. ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, იგი მალე დამეგობრდა სხვა ქართველ და არაქართველ სტუდენტებთან. ამბროსი იყო უაღრესად ნიჭიერი, განვითარებული, პატიოსანი, კეთილი, სათნოიანი და, რაც მთავარია, უერთგულესი ამხანაგი“.

ყაზანში ყოფნის დროს, 1900 წლის 11 თებერვალს ბესარიონ ხელაია ბერად აღიკვეცა ამბროსის სახელით. მომდევნო წელს დაწერა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „Борьба христианства с исламом в Грузии“, აკადემიაში სწავლა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაასრულა და სამშობლოში დაბრუნდა. 1902 წელს იგი რაჭაში მდებარე ჭელიშის ღვთისმშობლის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. სულ მოკლე ხანში მოასწრო მან ადგილობრივი მოსახლეობის უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის დამსახურება. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდებოდა პუბლიკაციები ჭელიშის მონასტერში ამბროსი ხელაიას მოღვაწეობის შესახებ. მღვდელი სიმონ ჭელიძე აღნიშნავდა: „საზოგადოდ, მამა ამბროსი განათლებული და მშრომელი კაცია. იგი დაბრძანდება რაჭის

ყველა კუთხეში, ათვალიერებს ძველს ეკლესიებს და ჰკრებს სასარგებლო ცნობებს“.

არქიმანდრიტი ამბროსი ჭელიშის მონასტერში წინამძღვრის საქმიანობასთან ერთად არქეოგრაფიულ სამუშაოებსაც აწარმოებდა. იმოგზაურა რაჭა-ლეჩხუმში, აღწერა ეკლესია-მონასტრები, ისტორიული ძეგლები, საეკლესიო ნივთები და ხელნაწერები, შეკრიბა ცნობები და საყურადღებო დაკვირვებები შემოგვთავაზა. აღნიშნული „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ ნაწილ-ნაწილ გამოქვეყნდა ჟურნალებში „განთიადი“ და „ცხოვრება“ 1915-1917 წლებში, ხოლო დედანი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება.

საგანგებო ყურადღების ღირსია არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას მიერ ჭელიშის ხელნაწერებს შორის აღმოჩენილი ძველი ქართული საისტორიო თხზულების – „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მანამდე უცნობი რედაქცია, ე. წ. ჭელიშური ხელნაწერი (XIV საუკუნისა) და ასევე წმინდა სახარება, შემდგომში ჭელიშის ოთხთავით ცნობილი. ჭელიშის აღნიშნული ხელნაწერი, სხვა მნიშვნელოვან ხელნაწერებთან ერთად, არქიმანდრიტმა თბილისში ჩამოიტანა და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს გადასცა (ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში – H-600), ხოლო ამ აღმოჩენის შესახებ 1907 წელს თავად წაიკითხა გამოკვლევა. 1904 წელს ამბროსი ხელაია თბილისის სინოდალური კანტორის წევრად და ფერიცვალების მონასტრის წინამძღვრად გადაიყვანეს.

XX საუკუნის დამდეგს, როგორც ამბროსი ხელაიას ცხოვრება-მოღვაწეობის, ისე საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, საინტერესოა საქართველოს საისტორიო არქივში, ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, მუსიკოსის, მგალობელის, მწერლის, სასულიერო და საზოგადო მოღვაწის პოლიევქტო კარბელაშვილის (1855-1936 წწ.) პირად ფონდში დაცული ამბროსი ხელაიას სამი წერილი, რომლებიც ქრონოლოგიურად 1900-1906 წლებს განეკუთვნება. დოკუმენტების შინაარსობრივ განხილვამდე, საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება ამბროსი ხელაიას წერილების ადრესატებზე. ქალაქ ყაზანიდან 1900 წლის 12 თებერვალს გამოგზავნილ წერილში ადრესატი – „მ. (მღვდელი) პოლიევქტო“ კონკრეტულად არის დასახელებული. ამდენად, ამ შემთხვევაში საკითხი გარკვეულია.

რაც შეეხება დანარჩენ ორ, 1900 წლის 30 ივლისითა და 1906 წლის 14 თებერვლით დათარიღებულ წერილს, ისინი ერთ საქმეშია ჩაკრული და როგორც ჩანს, ერთსა და იმავე პიროვნებას განეკუთვნება. მათში ამბროსი ხელაია მიმართვის ობიექტის ვინაობას არსად ასახელებს. იგი წერილებს შემდეგი სიტყვებით იწყებს: „თქვენო უსამღვდელოესობაჲ“,

„ყოვლად უსამღვდელოესო, მეუფეო“. ამგვარად, მიმართვის ფორმიდან გამომდინარე, ამბროსი ხელაიას წერილების ადრესატი ერთ-ერთი ქართველი ეპისკოპოსია.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ საქმეს სათაურის სახით აწერია: „მღვდელმონაზონ ამბროსის ორი წერილი ეპისკოპოს კირიონისადმი“, ე. ი. არქივის თანამშრომელმა, რომელმაც საქმე დაასათაურა, ჩათვალა, რომ ამბროსი ხელაიას წერილები ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილისადმი იყო განკუთვნილი. შესაძლოა, ჩვენც მიგვეჩნია პირობითად კირიონ ეპისკოპოსი ადრესატად, რომ არა ერთი ხელის შემშლელი გარემოება – 1906 წლის 14 თებერვალს გაგზავნილ წერილში ამბროსი ხელაია ეპისკოპოსს სთხოვს, კირიონს მოკითხვა გადასცეს: „ყოვლად სამღვდლო კირიონს მოვიკითხავ“; წერილში გვხვდება შემდეგი ფრაზაც: „აგრეთვე, კირიონისაც უნდათ შეჩვეულად დაბეჭდონ“.

აქედან გამომდინარე, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამბროსი ხელაიას წერილების ადრესატი კირიონ ეპისკოპოსი არ არის (რატომ მოიხსენიებდა მას მესამე პირში, რატომ შეუთვლიდა მოკითხვას შუამავლის მეშვეობით?) და არქივის თანამშრომელს აღნიშნული გარემოება, უბრალოდ, მხედველობიდან გამოორჩა.

ნამდვილი ადრესატის ვინაობის დადგენაში თვით წერილების შინაარსი გვეხმარება, კერძოდ, ვიგებთ, რომ ამბროსი ხელაია მიმართავს 1906 წლის დასაწყისში პეტერბურგში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებთან დაკავშირებით მყოფ და აქტიურად მებრძოლ ქართველ ეპისკოპოსს. ამ პერიოდში კი რუსეთის სატახტო ქალაქში აღნიშნული მიზნით კირიონ ეპისკოპოსთან ერთად მხოლოდ ერთი სასულიერო პირი – ეპისკოპოსი ლეონიდე (ერისკაცობაში ლონგინოზ ოქროპირიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1918-1921 წლებში) იმყოფებოდა.

ასე რომ, შეცდომა გასწორდა: შეგვიძლია სრული დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ ვინაობის მოუხსენიებლობის მიუხედავად, ამბროსი ხელაიას წერილების ადრესატი გამოჩენილი ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე ეპისკოპოსი ლეონიდეა. რაც შეეხება უშუალოდ წერილების შინაარსს, განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

1) 1900 წლის 12 თებერვალს მღვდელმონაზონმა ამბროსიმ ქალაქ ყაზანიდან წერილი გამოუგზავნა პოლიევქტო კარბელაშვილს, რომელშიც თავისი ბერად აღკვეცის ამბავი აცნობა; სთხოვა დახმარება საჭირო სამეცნიერო ლიტერატურის მოძიების საქმეში (როგორც აღვნიშნეთ, ამ პერიოდში ყაზანის სასულიერო აკადემიის სტუდენტი ამბროსი ხელაია მუშაობდა საკანდიდატო დისერტაციაზე: „Борьба христианства с исламом в Грузии“);

2) 1900 წლის 30 ივლისით არის დათარიღებული ამბროსი ხელაიას მიერ ეპისკოპოს ლეონიდესადმი ყაზანიდან გამოგზავნილი პირველი წერილი. ამ და პოლიევექტო კარბელაშვილისადმი გაგზავნილი წერილის შინაარსი ძალიან ჰგავს ერთმანეთს – სასულიერო აკადემიის სტუდენტს ამბროსი ხელაიას საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობის პროცესში კვლავ სჭირდება სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, რისთვისაც დახმარებას ამჯერად ლეონიდე ეპისკოპოსს სთხოვს.

წერილიდან ირკვევა, რომ ცოტა ხნით ადრე ეპისკოპოსმა ლეონიდემ ამბროსი ხელაიას წერილი გაუგზავნა, რომელშიც დისერტაციისთვის გამოსადეგი თხზულებები მიუთითა. ეს უკანასკნელი გაეცნო ეპისკოპოსის მიერ მითითებულ ლიტერატურას, რის შემდეგაც რამდენიმე შეკითხვა გაუჩნდა, მაგ., არის თუ არა ქართულ ენაზე ნათარგმნი „ყურანი“ და სხვ.; აცნობებს, რომ ჯერჯერობით დისერტაციის წერა არ დაუწყია, რის მიზეზიც მცირე ხნის წინათ გადატანილი ციება ყოფილა; ატყობინებს ყაზანის უნივერსიტეტის უნიჭიერესი ქართველი სტუდენტის – კანდელაკის გარდაცვალების ამბავს და ა. შ.;

3) 1906 წლის 14 თებერვალს ამბროსი ხელაიამ წერილი გაუგზავნა ეპისკოპოს ლეონიდეს, რომელიც, როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, კირიონ ეპისკოპოსთან ერთად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებთან დაკავშირებით პეტერბურგში იმყოფებოდა. წერილის ავტორი შესთხოვს უფალს, დაეხმაროს მათ ავტოკეფალიის მოპოვებისათვის ბრძოლის საქმეში; მოუწოდებს, რომ არაერთი სირთულის მიუხედავად, უკეთესი მომავლის იმედი არ დაკარგონ და მხნედ განაგრძონ მცდელობა სანუკვარი მიზნის მისაღწევად.

როგორც ცნობილია, 1905 წელს დიდი ილიას მეთაურობით დაიწყო ბრძოლა რუსეთის მიერ 1811 წელს გაუქმებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. ერის მამას მხარში ისეთი ცნობილი პიროვნებები ედგნენ, როგორიც პროფესორები ნიკო მარი, ალექსანდრე ცაგარელი, ეპისკოპოსები – კირიონი, ლეონიდე და სხვ. იყვნენ. ამ დიდ ეროვნულ საქმეში აქტიურად ჩაება ამბროსი ხელაიაც.

1905 წელს გაიმართა ქართველი სამღვდელოების კრება, რომელმაც მოითხოვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და რუსეთის სინოდს შესაბამისი პეტიციაც გაუგზავნა. იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ საკითხის გამოსარკვევად სპეციალური კომისია შექმნა.

1905 წლის ბოლოს ეპისკოპოსები – კირიონი და ლეონიდე პეტერბურგში ჩავიდნენ და რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრთან – ილია ჭავჭავაძესთან ერთად მოლაპარაკება გამართეს სინოდის ობერ-პროკურორ ა. ობოლენსკისთან. ამ უკანასკნელმა ქართულ დეპუტაციას გადამ-

ქრელი პასუხი ვერ გასცა და რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევამდე საკითხის გადაწყვეტისაგან თავი შეიკავა.

ამბროსი ხელაიას წერილში სწორედ ეს ფაქტია დაფიქსირებული – მისი აზრით, საეკლესიო კრება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხს დადებითად არ გადაწყვეტდა. მისი წერილის სულისკვეთება შემდეგი სიტყვებიდან გამოსჭვივის: „დათმობა არაფრისა და რასაც ძალით მოგვცემენ, ვემორჩილებით მხოლოდ დროებით; როდესაც მოხერხებულ დროს ვნახავთ, ვეცდებით განვახორციელოთ, რაც პეტიციებშია ნათხოვნი“.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებზე მსჯელობის გარდა, ამბროსი ხელაია ეპისკოპოს ლეონიდეს ატყობინებდა სასულიერო წრეებში შექმნილ ვითარებას, ურთიერთობის გამწვავებას გელათის მონასტრის ძმებს შორის და სხვ.

სამწუხაროდ, აღნიშნულ ეტაპზე ქართველი ერის საუკეთესო შვილების მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო და ავტოკეფალური მოძრაობა დამარცხდა. მისი მონაწილეები სხვადასხვა ფორმით დასაჯეს. ამბროსი ხელაია რუსეთში გადაასახლეს და დანიშნეს უსტამედვედსკოეს (დონბასის) სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად. ცოტა ხნის შემდეგ არქიმანდრიტი გაამართლეს და სამშობლოში დაბრუნდა, დაინიშნა იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრად. იგი 1907 წელს მონაწილეობდა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ დაარსებაში.

1908 წელს ამბროსი ხელაიას ბრალად საქართველოს ეგზარქოსის – ნიკონის მკვლელობაში მონაწილეობის მიღება დასდეს. ქართველმა საზოგადოებრიობამ კარგად უწყოდა, რომ ეს მხოლოდ საბაბი იყო, სინამდვილეში კი რუსეთის ხელისუფლებას მისი საქართველოდან გასახლება ავტოკეფალიასთან დაკავშირებული მსოფლმხედველობის გამო სურდა. აი, რას წერდა გაზეთი „საქართველო“: „ვინც ამბროსის სპეციალური პიროვნებას და საღ გონიერებას იცნობს, მისი წარსული ცოტაოდნად მაინც იცის და რამე საქმე ჰქონია მასთან, ის ვერც წარმოიდგენს, რომ ამბროსი რაიმე უსუფთაო და ბნელს საქმეში ერიოს“.

უბედურება ის იყო, რომ მისი თანამემამულეების ამგვარი სულისკვეთება საქმეს ვერ უშველიდა – 1909 წლის დამდეგს სინოდის განკარგულებით ამბროსი ხელაია კვლავ რუსეთის გზას გაუყენეს. მოგვიანებით იგი იხსენებდა: „1909 წლის იანვრის მეორე ნახევარში მერგო წილად ცრემლების ფრქვევით მოვშორებოდი სამშობლო მხარეს და გადმოვსახლებულიყავი ჩრდილოეთისაკენ. 28 იანვარს მივაღწიე ჩემთვის საცხოვრებლად დანიშნულ ადგილს. ეს იყო რიაზანის სამეზობლოს მონასტერი. დიდხანს ვერ მოვახერხე მონასტრის ღირსშესანიშნავი ადგ-

ილების დათვალიერება. გადატანილი მოგზაურობისა და სულიერი ტანჯვის გამო დაავადმყოფებული ჩამადგეს ნესტიან სენაკში და ექიმის მოწვევის ნებასაც დიდხანს არ მაძლევდნენ. ამის გამო ჩემი ავადმყოფობა გაგრძელდა მთელი თვენახევარი. პირველ ხანებში ჩემთან შემოსვლის ნებას არავის აძლევდნენ მონასტრის ხაზინადრის, მღვდელმონაზონ ბასილის გარდა. თავისუფლად სიარულის ნებაც არ მქონდა – არამც მონასტრის კედლების გარეთ, არამედ მონასტრის ეზოშიაც. ამას დაერთო ზამთრის სისასტიკე და დიდი თოვლიც და ამის გამო ვიყავი გამოკეტილი ჩემს ნესტიან სენაკში“.

ქართველი ღვთისმსახურის საქმეს გენერალ-პროკურორი, იუსტიციის ყოფილი მინისტრი შეგლოვიტოვი იძიებდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა, დამამტკიცებელი საბუთების არქონის გამო, იგი გააუქმა და სასამართლოს არ გადასცა. 1910 წლის დასაწყისში ამბროსის ყველა უფლება აღუდგინეს, სამშობლოში დაბრუნების ნებართვის გარდა.

ცოტა ხნის შემდეგ ამბროსი ხელაია ნოვგოროდის გუბერნიის ქალაქ სტარაია-რუსას მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. 1910 წლის 24 დეკემბერს ნოვგოროდის კონსისტორიამ მას ეპარქიის მონასტრების ბლალოჩინის თანამდებობაც შეუთავსა. 1912 წელს ამბროსი ხელაიამ სამშობლოში ჩამოსვლა შევებულებით მოახერხა, მოინახულა ილორი, ბედია, სოხუმი. სტარაია რუსაში ყოფნისას არქიმანდრიტმა სასწავლებლის სტუდენტთა და მასწავლებელთა, ასევე მრევლის საყოველთაო სიყვარული მოიპოვა. 1913 წელს მას მიანიჭეს ვლადიმირის მეოთხე ხარისხის ორდენი.

გადიოდა წლები, ამბროსი გამუდმებით საქართველოში დაბრუნების ნებართვას ითხოვდა, მაგრამ ამაოდ – რუსეთისათვის ის მეტისმეტად საშიშ ძალას წარმოადგენდა. ამის მიუხედავად, გადასახლებაში იძულებით მყოფი არქიმანდრიტი სულის სიმხნევეს არ კარგავდა, განაგრძობდა ინტენსიურ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, რასაც ნათლად ადასტურებს მის მიერ „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ თავმჯდომარის – ექვთიმე თაყაიშვილისადმი ქ. სტარაია-რუსადან 1911 წლის 22 მაისს გამოგზავნილი წერილიც (ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ექ. თაყაიშვილის პირად საარქივო ფონდში, № 1373):

„ღრმად პატივცემულო ექვთიმე სვიმონის ძე!

გთხოვთ უმორჩილესად, მიგზავნოთ თავ-თავის დროზე „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ გამოცემანი. მაქვს მხოლოდ „ძველი საქართველო“-ს I ტომი. რაც შეეხება „საქართველოს სიძველეთ“, არცერთი ტომი არ მიმიღია. აგრეთვე იმედი მაქვს გამომიგზავნით სხვა თქვენს იმ ნაშრომებსაც, რომელნიც ჩემს საქა-

რთველოდან გაქცევის შემდეგ დაბეჭდეთ. წამოსაღებად ჩემი შვილი გეახლება და რაც საჭირო იქმნება, მოგართმევს. დიდათ დამავალბეთ. ჭელიშის ვარიანტი „ქართლის მოქცევისა“, თუ საეკლესიო მუზეუმისათვის არ გადაგიციათ, „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ ბიბლიოთეკის კუთვნილებად ჩაირიცხოს.

სანევრო ფულის შეტანის დროს გთხოვთ მაცნობებდეთ ღია წერილით და შემდეგის მისამართით: Старая Русса. Новгородской Губернии. Спас-Преображенский монастырь.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი არქიმანდრიტი ამბროსი“.

ასე ცხოვრობდა გადასახლებაში მყოფი ამბროსი ხელაია. ამასობაში კი საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში გავრცელდა აზრი, თითქოსდა არქიმანდრიტი რუსეთში მხოლოდ იმიტომ რჩებოდა, რომ მას იქ შესანიშნავი საყოფაცხოვრებო პირობები ჰქონდა შექმნილი.

1915 წელს გაზეთ „საქართველოს“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ წერილში ამბროსი ხელაია ამგვარი პიროვნებების გასაგონად საჯაროდ აცხადებდა: „საზოგადოდ, მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი და ვიქნები იმისა, რომ ქართველმა კაცმა ნებით მიატოვოს თავისი სამშობლო მხარე, თუნდაც სხვაგან მას პირადი წარმატება და კეთილდღეობა მოელოდეს. ზოგიერთნი მე ბედნიერად მთვლიან, რომ მოვშორდი საქართველოს და ვითომ მატერიალურად კარგად მოვეწყე. მათ, ალბათ, ჯერ არ გამოუცდიათ მარტოობა სულისა, არ გამოუცდიათ ის სიმწვავე, რასაც განიცდის სამშობლოდან გადახვეწილი, თუკი ის გადაგვარების გზაზე არ არის დამდგარი და გული შესტკივა სამშობლოს მდგომარეობაზე“.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკლესია 1917 წლის დასაწყისშიც დიდ დამცირებასა და ტანჯვა-წამებას განიცდიდა, ამ პერიოდისათვის ყინული უკვე დაძრული იყო და თანდათანობით ღვებოდა. ამის ნათელი დადასტურებაა 1917 წლის იანვარში პეტროგრადში ქართული ეკლესიის დაარსება, სადაც წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე აღევლინებოდა. აი, როგორ აღწერს ამ მოვლენას ვინმე „ლადა“ გაზეთ „საქართველოს“ 26 იანვრის პუბლიკაციაში „ეროვნული წირვა-ლოცვა უცხოეთში“: „პეტროგრადის ქართული საქველმოქმედო საზოგადოება დიდი ხანია ცდილობდა, დაეარსებინა ქართული ეკლესია, რომელიც იქნებოდა ერთგვარი პლატფორმა უცხოეთში გაბნეული ქართველობის თავმოყრელად. ამ საზოგადოებას ბევრი დაბრკოლების გადალახვა დასჭირდა დასახული მიზნის მისაღწევად, მაგრამ ეროვნული ღვთისმსახურებისადმი სიყვარულმა ღვთისმსახურება სამშობლო ენაზე პეტრეს ქალაქშია კი მოასმენინა... კარგა ხნის ლოდინის შემდეგ ყოვლად უსამღვეღლოესმა პიტირიმმა პეტროგრადში ქართული ეკლესიის დაარსების

ნება დართო. სამშობლოდან ქართველმა საზოგადოებამ მოიწვია მამა ი. ჩიჯავაძე, იშოვა ეკლესია და ნინოობას მთელი ქართველობა კოპნიად მორთულ ტაძარში შეიკრიბა.

ყველა იქ მყოფ ქართველს სახეზე სადღესასწაულო მხიარულება აღბეჭდვოდა, მითუმეტეს, რომ საერთო ლოცვაში მათ გვერდს უმშვენებდნენ წამებულნი ივერიის ეკლესიისანი – ეპისკოპოსი კირიონი, არქიმანდრიტი ამბროსი და, აგრეთვე, ეპისკოპოსი ანტონი“.

ქართველმა სამღვდელოებამ და საზოგადოებრიობამ 1917 წლის დასაწყისიდანვე აქტიური ბრძოლა გააჩაღა როგორც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის, ისე უსამართლოდ დასჯილი ცალკეული სასულიერო პირების გადარჩენისათვის. 1917 წლის 22 იანვარს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული სტატიის ავტორი, ვინმე „ხ. ს.-ველი“, ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღებას მიაპყრობდა და სთხოვდა, ეზრუნა სამშობლოდან განდევნილი კირიონ ეპისკოპოსის, არქიმანდრიტ ამბროსისა და სხვა წამებულ ადამიანთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რადგან ისინი საერთო საქმისათვის იყვნენ დასჯილნი, იმიტომ, რომ საქართველოზე ზრუნავდნენ, ხოლო ისინი, რომელნიც „არასოდეს შეუბრუნებდნენ სიტყვას თავისადმი კეთილად განწყობილ ბატონს, თბილად და მძღრად ატარებდნენ თავიანთ უმფოთველ დროს, თან ე. წ. ჯილდოებსაც ღებულობდნენ“.

წერილის ბოლოს ავტორი განსაკუთრებული დაბეჯითებით სთხოვდა ყველას, უწინარეს ყოვლისა კი ქართველ თავადაზნაურთა წინამძღოლს, სახელმწიფო საბჭოს წევრს – კონსტანტინე აფხაზს, აღემაღლებინათ ხმა დევნილთა საქომავოდ.

1917 წლის თებერვლის ბოლოს რუსეთის იმპერიაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა – იმპერატორი ნიკოლოზ II ტახტიდან გადადგა, შეიქმნა დროებითი მთავრობა... საქართველოში შექმნილი ვითარება შესაფერისად მიიჩნიეს საიმისოდ, რათა დიდი ხნის ნანატრი საეკლესიო თავისუფლება მოეპოვებინათ. და მართლაც, 1917 წლის 12 (ახ. სტ. – 25) მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა გამოცხადდა. ამ საქმეს სათავეში ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე ედგა.

ამბროსი ხელაია ავტოკეფალიის აღდგენამ დიდად გაახარა. იგი ხომ ამისთვის მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე დაუღალავად იბრძოდა. 1917 წლის მარტში სტარაია-რუსადან გამოგზავნილ მისალოც წერილში არქიმანდრიტი აღნიშნავდა: „მრავალტანჯულ საქართველოს ვულოცავ სასიხარულო ამბავს: მისი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. გიხაროდენ შენც, მშობელო დედავ, საკათალიკოსო ეკლესიავ, აღზდგ და მოავლინე შენი ცხოველმყოფელობა ურწმუნოების გზაზე დაყენებულ

ხალხის საკეთილდღეოდ, აღმობრწყინდი ძველებურის სისპეტაკითა და სინმინდით“.

მაგრამ რუსეთი რისი რუსეთი იქნებოდა, ასე იოლად შეგუებოდა ქართველ ხალხზე ზემოქმედების ასეთი მნიშვნელოვანი ბერკეტის მისი გავლენის სფეროდან გასვლას. 12 მარტის შემდეგ რუსეთის სინოდი აჭიანურებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობას. ჩვენს ხალხს ამის მისაღწევად დიდი ბრძოლა დასჭირდა. ამ დიდ ეროვნულ საქმეში სხვა ღირსეულ ქართველ მამულიშვილებთან (ივანე ჯავახიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, კიტა აბაშიძე და სხვ.) ერთად აქტიურად მონაწილეობდა ამბროსი ხელაიაც, რისი დასტურიცაა 1917 წლის 23 მარტს ივანე ჯავახიშვილის მიერ პეტროგრადიდან მეგობრის – კიტა აბაშიძისადმი გამოგზავნილი წერილიც. დიდი ქართველი ისტორიკოსი აღნიშნავდა, რომ იურიდიულმა კომისიამ, რომელსაც გადაეცა განსახილველად დროებითი მმართველობის განცხადება ავტოკეფალიის შესახებ, რამდენიმე მეტად ცუდი ცვლილება შეიტანა მასში. ერთ-ერთი უაღრესად „არასასიამოვნო მუხლია, რომ რუსთა არქიეპისკოპოსის საჯდომად ტფილისია გამოცხადებული. მართალია, ყოველთვის ისე იყო, რომ ჩვენი კათალიკოზი მცხეთაში იჯდა, მაგრამ მაინც ცუდია, რომ ჩვენ ტფილელი ველარ გვეყოლება. ეს ინსტრუქციაშია. ჩვენ (იგულისხმებიან ივანე ჯავახიშვილი და ზურაბ ავალიშვილი, რომლებიც აღნიშნულ საკითხებზე ეკამათნენ სინოდის ობერ-პროკურორს – გ. ს., ი. ხ.) ამასაც შევეკამათეთ, მაგრამ ამბროსი ხელაიასთვის მას ჩვენზე უწინარეს ეთქვა, რომ ამას მე ვერასგზით ვერ დავთმობო“.

დროებითი მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ არარუსთა დევნა გარკვეულწილად შესუსტდა, რამაც ქართველ წამებულ სასულიერო მოღვაწეებს სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა მისცა – 1917 წლის აპრილის დასაწყისში ეპისკოპოსი კირიონი და არქიმანდრიტი ამბროსი მშობელ ქვეყანას დაუბრუნდნენ და მაშინვე ჩადგნენ რეალური ავტოკეფალიის მოპოვებისათვის მებრძოლთა მონინავე რიგებში. ამბროსი ხელაია ქართული დეპუტაციის წევრი იყო, რომელიც 1917 წლის ზაფხულში პეტროგრადში იმყოფებოდა და დროებითი მთავრობის მხრიდან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას ცდილობდა.

13 აგვისტოს მოხდა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელმაც ცხადყო, რომ საქართველოს ეკლესიის სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა გრძელდებოდა – თბილისში, ქალთა საეპარქიო სასწავლებლის დარბაზში, გამართულ ეკლესიის დროებითი მმართველობის თათბირზე აღდგა საუკუნის წინ უსამართლოდ გაუქმებული თბილელ მიტროპოლიტთა კათედრა. თბილელ მიტროპოლიტად აირჩიეს ეპისკოპოსი ლეონიდე. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას უამრავი ხალხი დაესწრო.

თბილისის ახლად არჩეულ მიტროპოლიტს მიესალმნენ გიორგი გვაზავა, ტრიფონ ჯაფარიძე, სიმონ ჭელიძე და არქიმანდრიტი ამბროსი.

1917 წლის აგვისტოში ქართველმა ხალხმა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებისათვის მზადება დაიწყო. თავდაპირველად კათოლიკოს-პატრიარქობის კანდიდატად მიტროპოლიტ ლეონიდესთან, ეპისკოპოს კირიონსა და არქიმანდრიტ ნიკოლოზთან (ნამორაძე) ერთად ამბროსი ხელაიაც ითვლებოდა. თუმცა საეკლესიო კრების წინ მხოლოდ ორი კანდიდატი – მიტროპოლიტი ლეონიდე და ეპისკოპოსი კირიონი დარჩა.

გაზეთ „საქართველოს“ 8 სექტემბრის ნომერში სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას აღფრთოვანებით მიესალმებოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწე დავით კასრაძე: „დღეს ჩვენი განთავისუფლებული ეკლესიის განსაკუთრებული დღეა, დღე ამაღლების, დღე – გვირგვინისნობის! სიონი კვლავ იხილავს მთელი საქართველოს კუთხიდან წარმოგზავნილ შვილთ, მის თაღთა ქვეშ ჩამოიკვრება ქართული ზარი, ქართულ ენაზე გაისმება „რომელი ქერუბიმის“ ხმა, რომლითაც მორწმუნის სული და გული მიჰფრენს ციურ სიონის სამყაროში; დღესვე მწირველია სხვათაგან შეჩვენებული და ჩვენგან შეყვარებული უსაყვარლესი მწყემსმთავარი ლეონიდე, რუსეთში გადასახლებულნი წამებულნი და ტანჯვით განსპეტაკებულნი კირიონი, დავით, ამბროსი; დღესვე გახსნილი იქნება პირველი კრება ერთად შემოკრებილი ქართლ-კახეთ-იმერ-ამერთა სამღვდელოების, დღესვე დაიწვენება სამარადისო გვირგვინი ჩვენი ერთობისა, სიყვარულისა და ამაღლების! დაე, დღევანდელმა დღემ შეგვაძლებინოს საფიცარის დადება, რომ უმჯობესი იქნეს ჩვენი მშობელი სიონის დანგრევა, ვიდრე მის თაღთა ქვეშ როდესმე მაინც უცხო საგალობლის გაგონება“.

1917 წლის სექტემბერში ქართველმა ხალხმა ოცნება აისრულა – 106 წლის შემდეგ მას თავისი მღვდელმთავარი ჰყავდა დიდი კირიონ II-ის სახით. გაზეთი „საქართველო“ 19 სექტემბერს აქვეყნებდა საქართველოს ეკლესიის მმართველობის სიას და მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებს: თბილისის მიტროპოლიტად დარჩა ეპისკოპოსი ლეონიდე, ქუთაისის მიტროპოლიტად – ეპისკოპოსი ანტონი, ჭყონდიდის მიტროპოლიტად აირჩიეს არქიმანდრიტი ამბროსი, გორის ეპისკოპოსად – ეპისკოპოსი დავითი. 1 ოქტომბერს, მცხეთობა დღეს, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში ამბროსი ხელაია ჭყონდიდის მიტროპოლიტად აკურთხეს.

ახლად შექმნილი ცხუმ-ბედიის ეპარქია დროებით (საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის მთელს აფხაზეთზე გავრცელებამდე) ჭყონდიდის ეპარქიას მიენერა. 1919 წლის 7 ოქტომბერს ამბროსი ხელაია ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტად აირჩიეს. მთელი მისი ძალისხმევა ეპარქიის შენარჩუნება-განმტკიცების მიზნით ფინანსური, საკადრო,

უძველესი ტაძრების აღდგენასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტასთან იყო დაკავშირებული.

1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს ლენინის საბჭოთა რუსეთი დაეპატრონა. ოკუპანტებმა შეუტიეს ყოველივე ქართულს, ყოველივე წმინდას, რაც კი ჩვენს ერს გააჩნდა, მათ შორის, პირველ რიგში, საქართველოს ეკლესიას, რომელიც სულ ცოტა ხანში მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

1921 წლის ივლისში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლეონიდეს გარდაცვალების შემდეგ, საკათალიკოსო საბჭომ კათოლიკოსის მოსაყდრედ ამბროსი ხელაია აირჩია, ხოლო იმავე წლის 1-5 სექტემბერს, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მესამე საეკლესიო კრებამ გელათში, ფარული კენჭისყრის საფუძველზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი აირჩია. 1921 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლის ტაძარში შესრულდა უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის აღსაყდრება.

კათოლიკოს-პატრიარქს, როგორც ერის სულიერ მამას, მშობელი ხალხის ასეთი დაბეჩავებისათვის მშვიდად ცქერა არ შეეძლო, ამიტომაც 1922 წლის 7 თებერვალს მემორანდუმი გაუგზავნა გენუის საერთაშორისო კონფერენციას, რომელშიც წერდა: „მცირე ერების მჩაგვრელმა რუსეთმა საქართველოს ხელმეორედ დაადგა კისერზე ისეთი მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი, რომლის მსგავსი მას არ განუცდია თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

ოკუპანტები, მართალია, ლამოზენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად გრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე, მისმა სულიერმა მამამ და დღესდღეობით ერთადერთმა ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ხელშია ამ ერის გულიდან გამომავალი იდუმალი ძაფები, რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კვნესა და ვაება.

თამამად და გაუზვიადებლად ვამბობ, რომ ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც უკანასკნელ წლებში ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკური გადაშენების, სულიერი გავლეწურებისა და გახრწნის კარამდე.

ერს ართმევენ მამა-პაპათა სისხლითა და ძვლებით გაპოხიერებულ მინა-წყალს, რომელსაც უცხოეთიდან შემოხიზნულთ ურიგებენ. მათი წყალობით, ისედაც გაღატაკებულ ერს პირიდან ჰგლეჯენ მისი სისხლით და ოფლით მორწყულ სარჩოს და გაუგებარი სიჩქარით იმავე უცხოეთში მიეზიდებიან. ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, მას უბილწავენ მამა-პაპურ ეროვნულ კულტურას. დასასრულ, მას უბღალავენ

წმიდათაწმიდა სარწმუნოებრივ გრძნობას და სინდისის თავისუფლების დროშის ქვეშ ნებას არ აძლევენ, თავისუფლად დაიკამაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება.

მისი სამღვდელოება უკიდურესად დევნილია. მისი ეკლესია, ეს ძველისძველათვე ფაქტორი საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი ამაღლებისა და ძლიერებისა, დღეს უფლებააყრილია იმდენად, რომ ნებაც კი არა აქვს თავისი შრომით, გარჯილობით და უნარით მოიპოვოს მუდმივი სახსარი არსებობისა.

ერთი სიტყვით, ერი კვნესის, ერი გმინავს, მაგრამ საშუალება არა აქვს ხმის ამოღებისა. ამ პირობებში ჩემს მწყემსმთავრულ მოვალეობად ვრაცხ, კულტურული კაცობრიობის გასაგონად ვთქვა: მე, როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, არ შევდივარ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ფორმების დაფასებასა და რეგლამენტაციაში, მაგრამ არ შემიძლია არ ვისურვო ჩემი ერისათვის ისეთი წყობილება, რომელიც შედარებით უფრო მეტად შეუწყობს ხელს მის ფიზიკურ აღორძინებას და კულტურულად განვითარებას, ამიტომ ვითხოვ:

1) დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნას საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილ იქნას მისი მინაწყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრება-მიტაცებისაგან;

2) საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლად და უკარნახოდ მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც ეს მას უნდა, შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებასა და ეროვნულ კულტურას შეესაბამება.

სრული იმედი მაქვს, რომ მაღალპატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს გაარკვიოს უდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა და დაამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულებელყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნილებას, დღეს ჩემი პირით წარმოთქმულს, და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებიდან.

კურთხევა უფლისა იყოს თქვენ ზედა და თქვენს კეთილშობილურ მისწრაფებასა და მუშაობაზე.

მდაბალი ამბროსი, პატრიარქი სრულიად საქართველოსა“.

გენუის კონფერენციის მონაწილეებისათვის გაგზავნილი მემორანდუმის ავტორის შესახებ განსხვავებული მოსაზრებებიც არსებობს. მაგალითად, გენერალი შალვა მაღლაკელიძე თავის „მოგონებებში“ აღნიშნავს, რომ მემორანდუმის დაწერის „იდეა ეკუთვნოდა გრიშა ლორთქიფანიძეს (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, ცნობილი პოლიტიკური

და საზოგადო მოღვაწე – გ. ს., ი. ხ.). ყოველთვის გვექონდა კამათი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დავამტკიცოთ, რომ 1921 წელს საქართველოში არ მომხდარა ხალხის აჯანყება და რომ მოხდა დაპყრობა, ოკუპაცია. მიმართვის მიზანი გახლდათ კონფერენციაზე, სადაც მომხსენებელი იყო გიორგი გვაზავა (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე – გ. ს., ი. ხ.), ერთა ლიგის ორგანიზაციაში, ფრანგულის საუკეთესო მცოდნე, საფრანგეთში გაზრდილი კაცი, გაერკვია საზოგადოებრიობა იმაში, რომ საქართველო არის დაპყრობილი... ეს ტექსტი მეტეხის ციხიდან (1921-22 წლებში გრ. ლორთქიფანიძე, შ. მაღლაკელიძე და ბევრი სხვა ცნობილი პოლიტიკური, თუ საზოგადო მოღვაწე კომუნისტებს მეტეხის ციხეში ჰყავდათ გამომწყვდეული – გ. ს., ი. ხ.) გადაგვავანეთ სიონში. იქიდან იტალიელმა კაპიტანმა, ქართველი ცოლი რომ ჰყავდა, ჩაიტანა დანიშნულების ადგილამდე. ამბროსი ხელაიამ ამ ტექსტზე მართო ხელი მოაწერა. დიახ, ტექსტი შეადგინა გრიშა ლორთქიფანიძემ და მეც მაქვს მიღებული მონაწილეობა“.

არსებობს სხვა ვერსიაც – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე 40-იან წლებში თავის ძმისწულთან, მიხეილ კეკელიძესთან საუბარში იგონებდა: „1922 წელს გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი საქართველოს მემორანდუმი ჩემი დანერგულია. მე გადავეცი კათალიკოს ამბროსის. მასთან შეთანხმებული ვიყავი, იმან კი გადასცა რაფიელ ივანიცკი-ინგილოს, რომელმაც მემორანდუმი საზღვარგარეთ გაიტანა“.

საქართველოს ემიგრანტული მთავრობა გენუის კონფერენციაზე არ მიუწვევიათ. გარდა ამისა, მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს (განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთს) რუსეთთან დაახლოების გზების მოძიება სურდათ, ამიტომაც ამბროსი ხელაიას მემორანდუმი უშუალოდ კონფერენციის დღის წესრიგში არ შეუტანიათ. იგი წაიკითხეს კონფერენციის დელეგატების სამომწესრიგებლო სხდომაზე, რომელზედაც არმონეველ სახელმწიფოთა განცხადებები განიხილეს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მემორანდუმს დიდი გამოხმაურება მოჰყვა არა მარტო ევროპის პოლიტიკურ წრეებში, არამედ პრესაშიც. იგი 1922 წლის 25 მაისს გაზეთ „კავარში“ გამოქვეყნდა, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მას საქართველოსათვის რეალური დადებითი შედეგი არ მოჰყოლია.

1922 წელს ქართველმა ხალხმა რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო პოლკოვნიკ ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის მეთაურობით (ე. წ. „ხევსურეთის აჯანყება“). კათოლიკოს-პატრიარქის სურვილზე, მიეღო მონაწილეობა ამ აჯანყებაში, მოგვითხრობს თავის მოგონებებში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი დავით (დათა) ვაჩ-

ნაძე: „ახალი მოვლენები სწრაფად ვითარდებოდა. ყაზბეგიდან შიკრიკი ჩამოვიდა – ხალხი ირაზმება, სამხედრო გზაზე შეიარაღებულ მთიელთა ჯგუფები გაჩნდნენ, ჩოლოყაშვილი თიანეთისკენ მოდის, ხევსურეთი ფეხზე დგებაო. ეს ხმები მოსდიოდა თბილისის ყოველ მხრიდან.

ამ დღეებში, ერთ დილას თავს წამადგა მეგობარი კაცი: ყოვლად სამღვდელო ამბროსისაგან თქვენთან დანაბარები მაქვს... ყოვლად სამღვდელო გიგზავნით თავის ლოცვა-კურთხევას და გატყობინებთ შემდეგს: თელავიდან საგანგებო კაცის პირით კათალიკოსს მოუვიდა ამბავი, რომ ხალხი დღე-დღეზე გამოსვლას აპირებს; რომ ჩოლოყაშვილი გადავიდა კახეთიდან ხევსურეთში. კათალიკოსს ამბროსის გადანყვებილი აქვს ხალხის ამ გამოსვლაში მონაწილეობა მიიღოს. ამიტომ გთხოვთ, როგორმე აცნობოთ ბატონ ქაქუცა ჩოლოყაშვილს, თუ ეს შესაძლებელია, გამოსვლის დღე ალავერდობის დღეობას შეუფარდოს (27 სექტემბერს ახალი სტილით). ამ დღეს კათალიკოსი იქნება ალავერდში და წმინდა ნინოს ჯვრით დალოცავს და აკურთხებს მებრძოლ ქართულ რაზმებს და თვით გაჰყვება მათ ბრძოლაში.

– ეს ნაბიჯი მართლაც გადანყვებილი აქვს კათალიკოსს? – გაკვირვებით გადავკითხე მის გამოგზავნილ კაცს.

– დიახ, ნაფიქრი და გადანყვებილი.

– მაშ, გადაეცით ყოვლად სამღვდელოს მადლობა ლოცვა-კურთხევისათვის და აცნობეთ, რომ ყოველ ღონეს ვიღონებთ და შევატყობინებთ ჩოლოყაშვილს მის სურვილს.

განშორებისას მესაუბრემ მითხრა: უკანასკნელ დროს კათალიკოსი ძალიან აღელვებულია, მუდამ იმეორებს, რჯულისა და ერისათვის სიკვდილი მწყურია, ველარ ვიტან ამ შეგინებულ, ნაზრახ ქართულ სიცოცხლესო“.

სამწუხაროდ, ხევსურეთის აჯანყება დამარცხდა (კათალიკოსს მასში მონაწილეობა არ მიუღია – გ. ს., ი. ხ.), საბჭოთა ხელისუფლებამ კი მშობელ ერზე ზრუნვა ამბროსი ხელაიას, რასაკვირველია, დანაშაულად ჩაუთვალა. „ჩეკამ“ მასზე საგანგებო მეთვალყურეობა დაანესა კოდური სახელწოდებით „წმინდანი“. 1922 წლის 12 ივნისს ამბროსი ხელაია დაკითხეს „ჩეკაში“, სადაც მან შემდეგი შინაარსის ჩვენება მისცა: „მონოდება იყო მხოლოდ ჩემი პირადი დაკვირვებისა და სინდისის კარნახის შედეგი... საბჭოთა რუსეთს ვთვლი არა მოკავშირედ, არამედ როგორც ოკუპანტს... საქართველოში მთავრობა არსებობს, მაგრამ არ არის საქართველოს დამოუკიდებლობა... საქართველოს დამოუკიდებლობა რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ წაართვა... საქართველოს დამოუკიდებლობაზე ლაპარაკს საჭიროდ ვთვლი იმდენად, რამდენადაც ასეთი ჩარევა ეხმარება ხალხისა და ეკლესიის აღორძინებას“.

1922 წლის 20 ივნისს კათოლიკოს-პატრიარქმა „ჩეკას“ დამატებითი ჩვენებაც მისცა, რომელშიც აღნიშნავდა: „მთავრობის პოლიტიკური მოქმედება ეხება ეკლესიასა და სარწმუნოებას, ვინაიდან ადგილობრივი მთავრობა დამოკიდებულია. ხელყოფილია ერის სუვერენიტეტი. დოკუმენტურ მონაცემებს წარმოგიდგენთ. მე იმდენად ვერევი მთავრობის საქმეებში, რამდენადაც იგი, მთავრობა, არ არის დამოუკიდებელი“.

1922 წლის 26 ივნისს ამბროსი ხელაიამ მიმართვა გაუგზავნა საქართველოს „ჩეკას“ თავმჯდომარეს – კოტე ცინცაძეს, სადაც განმარტავდა თავის მემორანდუმს გენუის კონფერენციისადმი. იგი წერდა: „საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო საბჭოთა რუსეთმა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით. მიუხედავად ამისა, 1921 წლის თებერვალში ჩვენს საზღვრებში შემოჭრილმა რუსეთის არმიამ მოახდინა საქართველოს ოკუპაცია და მოსპო ქართველი ერის სუვერენიტეტი. მე, როგორც სიტყვის, პრესის, სინდისის თავისუფლებისა და ხალხთა ეროვნული თვითგამორკვევის მომხრეს და, ამასთან, მორწმუნე საქართველოს ნეტარ მამას, არ შემეძლო ხმა არ ამემაღლებინა ზემოთქმულის კვალობაზე: მე მოვიხადე მოვალეობა ღვთისა და მშობლიური ხალხის წინაშე, ხოლო თუ ეს დანაშაულად ჩამეთვლება, მზად ვარ, მთელი ხალხის წინაშე ვაგო პასუხი“.

აი, რას აუწყებდა 1922 წლის ივლისში ერთ-ერთი აგენტი კოტე ცინცაძეს: „სააგენტურო მეთვალყურეობის შედეგად 4 ივნისიდან 5 ივლისამდე დადგინდა მთელი რიგი ანტისაბჭოთა გამოსვლები პატრიარქ ამბროსისა და მის ახლობელ პირთა მიერ. შეკრებილთადაც მიმართული სიტყვებით ამბროსი მოუწოდებდა ქართველ ხალხს საბჭოთა ხელისუფლების მიერ გათელილი ერისა და რელიგიის დაცვისაკენ, ამ მიზნით მოუხმობდა ყოველნაირად ებრძოლონ საბჭოთა ხელისუფლებას“.

ამის შემდგომ აგენტს მოჰყავდა ამბროსი ხელაიას ანტისაბჭოთა მოღვაწეობის დამადასტურებელი მაგალითები და თავის საიდუმლო მოხსენებას პატრიარქის ყველაზე ახლობელი და საბჭოთა ხელისუფლებისათვის საშიში პირების ჩამოთვლით ამთავრებდა, რომელთა შორის კალისტრატე ცინცაძეს, კორნელი კეკელიძეს და პაოლო იაშვილსაც ასახელებდა.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე 1922 წლის 22 ივლისს საქართველოს „ჩეკას“ საიდუმლო განყოფილების რწმუნებულის თანაშემწემ, ვინმე ქავთარაძემ, დაადგინა შემდეგი: „განვიხილე რა სრულიად საქართველოს პატრიარქის – ამბროსი ხელაიას მოწოდება, რომელიც მან გაუგზავნა გენუის კონფერენციას, ვცან მასში დანაშაული, რომელიც მიმართულია არსებული წყობილების წინააღმდეგ და რაც გამოიხატა

პროვოკაციით, კონტრრევოლუციითა და საბჭოთა ხელისუფლების დისკრედიტაციით.

პატივცემულო ამხანაგო (მიმართვის ადრესატი უცნობია – გ. ს., ი. ხ.), თქვენს შეკითხვაზე გაცნობებით შემდეგს: საქართველოს კათალიკოსი ამბროსი (ეროზაში ხელაია) დაპატიმრებულია და შინაპატიმრობაში იმყოფება წირვის აკრძალვით“.

მალე კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ბოლშევიკებმა მეტეხის ციხეში გადაიყვანეს, სადაც 1923 წლის მაისამდე ტანჯავდნენ. მისი ციხიდან გათავისუფლება დაემთხვა „ჩეკას“ მიერ 1923 წლის 20 მაისს „სამხედრო ცენტრის“ მეთაურის, დიდი ქართველი მამულიშვილის, გენერალ კოტე აფხაზისა და მასთან ერთად 14 ქართველი ოფიცრის დახვრეტას. აღნიშნული მოვლენების აღწერას ვპოულობთ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის – სოლომონ ზაღდასტანიშვილის მოგონებებში: „ეს დანაკლისი ქართველმა ხალხმა დიდად განიცადა. ყველა დასტიროდა დაღუპულებს: დიდი, პატარა, ქალი და კაცი. ეს მოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც სრულიად საქართველოს კათალიკოსი დიდი ხნის დატუსაღების შემდეგ ციხიდან გამოუშვეს. მან გადანყვიტა, ქაშვეთის ეკლესიაში სამი წირვა გადაეხადა.

ეს ხმა უცებ მთელ თბილისს მოედო და პირველ კვირას აუარებელი ხალხი დაესწრო წირვას. გამობრძანდა კათალიკოსი თუ არა სალოცავიდან, ხალხი მუხლმოდრეკილი, ქვითინით შეხვდა თავის სულიერ მამას. კათალიკოსი აღელდა, თვალები ცრემლით ავესო, გადმოგვხედა ყველას და წარმოთქვა: „ვინა სთქვა, რომ ქართველმა ხალხმა რწმენა დაჰკარგაო?!“ ამ სიტყვების თქმასთან გულიც წაუვიდა. დეკანოზმა ცინცაქემ (შემდეგ კათალიკოსმა) ხალხში ექიმებს მიჰმართა. იმ წუთშივე რამდენიმე ექიმი მიეშველა და მისი უსამღვდელოესობა გონს მოიყვანა. წირვა მაინც დაასრულა ხალხის ქვითინში. რას ევედრებოდა ეს ტანჯული ხალხი ღმერთს და „ჩეკაში“ ფიზიკურად ნაწვალეზ, ღონემიხდილ კათალიკოსს, ეს უსიტყვოდ მისახვედრია. ქართველ ერს სანუგეშოდ მხოლოდ ეს სულიერი მეთაურიღა შერჩა და როგორც შვილი მშობლისაგან, ნუგეშს ელოდა. კათალიკოსმა მწვავედ იგრძნო ხალხის განცდა და სათნოებით, ნუგეშით სავსე სიტყვით მოგემართა, გაგვამხნევა და გულჩათხრობილნი მშვიდობიანად დავიშალენით. თვითონ კი დაღლილი, დაქანცული, სიციხიანი დაბრუნდა სახლში“.

1923 წელს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი კვლავ დაპატიმრეს, გამოიძეა გაგრძელდა... სასამართლო პროცესი 1924 წლის დასაწყისში შედგა. კომუნისტები აცხადებდნენ, რომ ეს იქნებოდა ღია პროცესი, რომელზეც დასწრების უფლება ყველა მსურველს მიეცემოდა, სინამდ-

ვილეში კი სასამართლოს შენობაში ძირითადად „ჩეკას“ მოხელეები და მათი დაქირავებული არამზადები იმყოფებოდნენ.

საბედნიეროდ, შემორჩენილია კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მიერ სასამართლო პროცესზე წარმოთქმული სიტყვის ჩანაწერი, რომელშიც ერის სულიერი მამა მის მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზის შესახებ ჰყვებოდა: „უმთავრესი ბრალდება ჩემს სანინააღმდეგოდ წამოყენებული, როგორც საბრალდებო ოქმიდან სჩანს და როგორც პროკურორის სიტყვიდანაც მესმა, არის კონტრრევოლუცია. ჩემი კონტრრევოლუციონერობა გამოიხატა გენუის კონფერენციაზე ჩემს მიერ წერილის გაგზავნაში, მაგრამ არ მესმის, რა იყო კონტრრევოლუციონერული ჩემს წერილში. ნუთუ ის ერთადერთი ძირითადი დებულება, რომ თითოეულმა ერმა თავისი საქმეები მოაწყოს ისე, როგორც ეს მას უნდა, მაგრამ ეს ჩემი მოგონილი ხომ არ არის?.. მე არ ვეკუთვნი არცერთ პარტიას, ჩემთვის სულერთია, რომელი პარტიის ხელში იქნება მართვა-გამგეობა, რომელს ექნება ძალაუფლება და რომლის დიქტატურა იქნება დამყარებული. ამის განხილვაში შესვლა ჩემი საქმე არ არის. მხოლოდ მრწამს და სასურველად მიმაჩნია, მართვა-გამგეობა დამყარებული იყოს ხალხის ნებისყოფასა და თვითგამორკვევაზე. ხალხის სურვილი ჩემთვის კანონია... როგორც სარწმუნოებრივი, ისე ისტორიული მაგალითები მაძლევდნენ მე უფლებას ხმის ამოღებისას. არა, ეს უფლება არ არის, ეს არის მოვალეობა, და მისი აუსრულებლობა გამხდოდა მე უღირსად ჩემი თანამდებობისა – პასუხისმგებლად ღვთის, ეკლესიისა და ერის წინაშე... ჩემი 37 წლის სამსახური მე მოვანდომე გარუსების პოლიტიკასთან ბრძოლას. ვიბრძოდი როგორც მოქმედებით, ისე პრესის საშუალებით, რამაც შემძინა აუნერგელი დევნილობა და ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს ტკბილი და მყუდრო დღეები...

მე შევასრულე ჩემი მოვალეობა და როგორის თვალთ შეხედავს უზენაესი სასამართლო ჩემგან ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეს, ამას დაგვანახებებს ის განაჩენი, რომელიც გამოტანილი იქნება. ესევე განაჩენი დაგვანახებებს იმასაც, საბჭოთა ხელისუფლება მართლა იზიარებს მისგან აღიარებულ ლოზუნგს ერთა თვითგამორკვევისას, თუ ეს მხოლოდ იდეალია, რომლის განხორციელებასაც უნდა ველოდოთ შორეულ მომავალში.

ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩვენს წინაპრებს ტკბილად მიაჩნდათ სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის ტანჯვის მიღება, აგრეთვე, ჩემთვის ტკბილი იქნება ის სასჯელი, რომელსაც მომისჯის სასამართლო მშობლიური ეკლესიისა და ერის თავისუფლების დაცვის მიზნით ხმის ამოღებისათვის. ეს იქნება დაგვირგვინება იმ ჯვარისა, რომელიც ჩემ-

გან ნატვრითა და ვატარებ ჩემი ცხოვრების უკანასკნელი თითქმის 37 წლის განმავლობაში.

ჩემგან ეროვნული ინტერესების დასაცავად ამალღებული ხმა და მსჯავრი, რომელსაც მომისჯის სასამართლო, მონახვენ თავის ადგილს ყოველი ქართველის გულში, იმ ქართველის, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სარწმუნოებისა და სამშობლოს სიყვარული. ამითაც ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს“.

1924 წლის 9 მარტს უზენაესმა სასამართლომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას 7 წლით, 9 თვითა და 28 დღით პატიმრობა მიუსაჯა სასტიკი იზოლაციითა და მთელი ქონების კონფისკაციით. სასამართლოს შენობიდან გამოსულ პატრიარქს საგანგებოდ მომზადებულმა კომკავშირლებმა კვერცხები ესროლეს...

1999 წელს, გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე, უზუცესმა მანდილოსანმა, ქალბატონმა ბაბო დადიანმა ჩვენთან საუბარში კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მეტეხის ციხეში ყოფნასთან დაკავშირებული საინტერესო ამბები გაიხსენა: მისი მეუღლე – ალექსანდრე მასხარაშვილი და კათოლიკოს-პატრიარქი პატიმრობის ვადას ერთ საკანში იხდიდნენ. როდესაც ბაბო დადიანს და სხვა ტუსაღების ცოლებს მეუღლეების ხილვა ან ამანათების გადაცემა სურდათ, ჩეკისტებს ეუბნებოდნენ, რომ ამბროსი ხელაიას სანახავად იყვნენ მისულნი. ამას ქალები განზრახ აკეთებდნენ – მათ იცოდნენ, რომ პატიმრების მონახულება აკრძალული იყო, ხოლო კათოლიკოს-პატრიარქის მიმართ კომუნისტებიც კი ბოლომდე სიმკაცრეს ვერ იჩენდნენ. ქალბატონი ბაბო საკანში სახით პატრიარქისაკენ იდგა, სინამდვილეში კი ამ დროს ზურგს უკან მდგომ თავის მეუღლეს ესაუბრებოდა.

1924 წლის ბოლოს გამოცემული ამნისტიის ძალით ამბროსი ხელაიას სასჯელი მოეხსნა, რის საფუძველზეც 1925 წლის 10 მარტს ციხიდან გაათავისუფლეს, მაგრამ ნატანჯ, ჯანმრთელობაშერყეულ კათოლიკოს-პატრიარქს დიდხანს აღარ უცოცხლია – იგი 1927 წლის 29 მარტს თბილისში გარდაიცვალა. ამ ფაქტს საბჭოთა პრესამ თითქმის სრული იგნორირება გაუკეთა, მხოლოდ გაზეთ „კომუნისტის“ 30 მარტის ნომერში, რუბრიკაში „ქრონიკა“ გამოქვეყნდა შემდეგი შინაარსის ინფორმაცია: „28 მარტს, ღამის 4 საათზე, თბილისში, საკუთარ ბინაზე, გულის ავადმყოფობით გარდაიცვალა კათალიკოსი ამბროსი“. როგორც ჩანს, მალე ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ კათოლიკოს-პატრიარქის გარდაცვალების ფაქტის ამგვარი უგულებელყოფაც არ შეიძლებოდა, ამიტომ 2 აპრილს იმავე გაზეთში დაიბეჭდა პასკვილი „პატარა ფელეტონი (ორი მემორანდუმი)“, რომლის ავტორიც, ვინმე „ს. თ-ია“, მისი აზრით, მეტად ოსტატურად და მახვილგონივრულად დასცინოდა არა მარტო ამბროსი

ხელაიას, არამედ ემიგრაციაში მყოფ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიასაც.

აი, რა ენერა სატირულ-იუმორისტული ჟანრის ამ „შედეგში“: „მამისათა და ძისათა, და სულისა წმინდისათა, კურთხეულ იყოს კრებული თქვენი, მას ქალაქსა შინა გენუასა.

სამას სამოცდახუთი წმინდა გიორგი გფარავდეთ მახვილითა თვისითა, სულისაგან ბოროტისა ყოვლისაგან. წმინდა არს, წმინდა არს, წმინდა არს საქმენი თქვენნი და დადგენილებანი თქვენნი შესრულებულ იქნენ წყალობითა ღვთისათა უკუნითი უკუნისამდე.

მარხვითა და ღოცვით ხელაპყრობილი შევედრი უფალსა ზეცისასა და განასახიერებას მისსა მიწასა ზედა – პატიოსანსა კრებულსა თქვენსა გენუასა შინა, რათა გულისყურ ყოთ ვედრება ჩემი და სამწყსოსა ჩემისა, მართლმორწმუნეთა საქართველოსა და განდევნოთ წიაღისა მისისაგან კატათკმეველნი იგი, წოდებულნი ხელისუფლად საბჭოისად და პარტიად კომუნისტურად.

მოთმინებითა იობისათა და ხმითა მლაღადებლითა უდაბნოსა შინა მოველოდებით მოვლინებასა ქრისტეს მოყვართა მხედრობათა თქვენთა და განთავისუფლებას ტყვეობისაგან, ვითარცა იუდელნი ეგვიპტესა მას ჟამსა შინა.

დავშთები თქვენთვის მარად სასოების მლოცველი საქართველოს მიტროპოლიტი ამბროსი, ამინ“. გადასახა ამბროსიმ ჯვარი ამ ბარათს, მემორანდუმად წოდებულს, და გადასცა ძველ რევოლუციონერს და შემდეგ გამენშევიკებულს ვლასა მგელაძეს, რომელიც ჩამორთმევის დროს მოწინებით ემთხვია მას ხელზე.

ისეთი სიფრთხილით გადაიტანა ვლასა მგელაძემ ამბროსის მემორანდუმი საბჭოთა საქართველოს საზღვრებიდან, როგორც წინეთ შემოჰქონდათ საზღვარგარეთული არალეგალური ლიტერატურა.

საქმეების გარეშე მინისტრ ევგენი გეგეჭკორის მეშვეობით ძლივს მიაღწია ამბროსის მემორანდუმმა გენუის კონფერენციის ტექნიკურ მდივნის ხელამდე (აი, კიდევ ერთი ვერსია მემორანდუმის შედგენისა და გენუაში გაგზავნის შესახებ – გ. ს.).

ეს უკანასკნელი ფიქრობდა მის ჩაგდებას სანაგვე კალათაში, მაგრამ ვილაც ცნობისმოყვარე გაზეთის თანამშრომელმა გამოართვა ხელიდან და გამოაქვეყნა თავის ქუჩურ გაზეთში.

დიდი მითქმა-მოთქმა და იმედები სუფევდა მენშევიკურ წრეში ამბროსის მემორანდუმის გაგზავნის გამო. ღამით ბევრს მოუსვენრად ეძინა და დილით რომ წამოდგებოდნენ ფეხზე, გაფაცვიცებით იცქირებოდნენ დასავლეთისაკენ – ხომ არ მოსჩანან ინგლისის, ფრანგების ან იტალიელების ჯარებიო.

როცა რომელიმე საქმეგამოლეულ მენშევიკს მოშივდებოდა, გადავი-
დოდა ის აგრეთვე საქმეგამოლეულ მეზობელ ნაციონალ-დემოკრატისას
და რომ სადილზე დაეპატიჟებია თავი, მოჰყვებოდა მისგანვე შეთხზულს
ნილადობილას გენუის კონფერენციასა და ამბროსის მემორანდუმზე.

გადიოდნენ დღეები, თვეები და წლები.

გენუის კონფერენცია ჩაბარდა ისტორიას.

ამბროსიც გაემგზავრა თავის წინაპრებთან ამბავის წასაღებად.

ნოე ჟორდანიას სიბერის სირეგვნე დასჩემდა და მგოსნობა დაიწყო.
მაგრამ, ვინაიდან გამოფიტულ თავში არ მოსდიოდა რითმები, ამიტომ
ძველი მგოსნების თხზულებებიდან იპარავდა ლექსებს.

„გადაგვიხდია ბრძოლა მრავალი, ტანჯულმა სულმა არ იცის დალ-
ლა“ – დალიდინებდა ის ლანჩხუთიდან წაღებულ ჩონგურზე.

ხანდახან მოუვიდოდა ჩვეულებრივი წერის იშტა და შეუდგებოდა
გოდებას: „დღეს, როცა მტრის მზე ჩადის, როცა მისი გლოვის ზარი
ირეკება, და დაშლილი და დასენიანებული დაბალ უფსკრულისაკენ ეშ-
ვება...“

მაგრამ სწორედ ამ დღეს, თითქოს ნოე ჟორდანიას ჯინაზე, მზე
კიდევ უფრო ბრწყინვალედ ამოვიდა და თავმჯდომარის წკრიალა ზარი
თავს უყრიდა მუშათა და გლეხთა წარმომადგენლებს საქართველოს საბ-
ჭოთა მეოთხე ყრილობის სხდომაზე რუსთაველის თეატრში.

ამბროსის მოადგილემ ახალმა მიტროპოლიტმა კი შემდეგი „მემო-
რანდუმით“ მიმართა ამ ყრილობას: „საქართველოს ეკლესიის დროებითი
მმართველობა ესალმება საბჭოთა ყრილობას და უსურვებს მას ნაყოფი-
ერებას აღმშენებლობით მუშაობაში. მიტროპოლიტი ქრისტეფორე“.

ეს მემორანდუმი დაუბრკოლებლივ მივიდა ყრილობის პრეზიდიუმში,
მაგრამ ის არ იქნა გამოქვეყნებული ყრილობაზე, როგორც სხვა მრავალი
მისალმება, ვინაიდან დროის მომჭირნეობის წესი მტკიცედ უნდა
დაცულიყო“.

ასე „გამოემშვიდობნენ“ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ბოლშე-
ვიკურ საქართველოში – დაცინვით, ბოღმით, გესლით... სრულიად გან-
სხვავებული შინაარსის პუბლიკაცია დაიბეჭდა იმავე 1927 წელს ცნო-
ბილ გერმანულ ჟურნალში „Der Orient“ (№9, გვ. 61) – იმხანად გერ-
მანიაში მოღვაწე დიდმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ და მეცნიერმა
გრიგოლ ფერაქემ (რომელიც პირადად იცნობდა კათოლიკოს-პატრიარქს
და ამ უკანასკნელს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვოდა მის ევრო-
პაში სასწავლებლად გაგზავნის საქმეში) გაიხსენა ამბროსი ხელაიას
ცხოვრება-მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები. გრ. ფერაქე აღნიშნავდა:
„მისი უწმინდესობა და უნეტარესობა ამბროსი I წარმოშობით დასავლეთ
საქართველოდან იყო. კიევში სასულიერო განათლების მიღების შემდეგ

თბილისში დაბრუნდა. ერთხანს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ეკლესია-მონასტრის არქიმანდრიტი (წინამძღვარი) იყო. გარდა ამისა, მოღვაწეობდა როგორც მწერალი და არქეოლოგი. მალე ამბროსი ხელაიას საქართველო დაატოვებინეს და გადაასახლეს, რადგანაც იგი აქტიურად იყო ჩაბმული რუსეთის ეკლესიის ბატონობისაგან საქართველოს ეკლესიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ის ნოვგოროდის გუბერნიის ერთ-ერთ მონასტერში გადაასახლეს.

რუსეთის რევოლუციის დროს მისი უწმინდესობა და უნეტარესობა სამშობლოში დაბრუნდა. იგი თავდაპირველად გახდა სამეგრელოს ეპისკოპოსი, შემდეგ – აფხაზეთის მიტროპოლიტი. 1921 წლის სექტემბერში გელათის მონასტერში გამართულ მესამე საეკლესიო კრებაზე კი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს.

ამბროსი I-ის მოღვაწეობის განსაკუთრებულ დამახასიათებელ ნიშანთვისებას ბერმონაზვნობისადმი მისი უდიდესი სიყვარული წარმოადგენდა. ყველაზე მძიმე და არახელსაყრელ პერიოდში მან მოახერხა აფხაზეთში სამი მონასტრის დაარსება. მის უწმინდესობას და უნეტარესობას მტკიცედ სწამდა, რომ ეკლესიის განახლება შესაძლებელი იყო მხოლოდ ბერმონაზვნური ცხოვრების განახლებით“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი ხელაია სიონის საკათედრო ტაძარში დაკრძალეს. წმინდა ამბროსი აღმსარებლის ხსენების დღედ 29 მარტია დადგენილი.

**გოჩა საითიძე,
ირმა ხოსიტაშვილი**

III

ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა ამბროსი ხელაიას ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ

1) ამბროსი ხელაია, კრებ.: „მეოცე საუკუნის მოღვაწეები. მათ არ უღალატეს ქრისტეს (შემდგენელ-გამომცემელი კონსტანტინე პაიჭაძე), თბილისი, 2005.

2) ამბროსი ხელაია, მე შევასრულე ჩემი მოვალეობა, წინასიტყვაობა აკაკი მინდიაშვილისა, ჟურნ. „მნათობი“, თბილისი, 1988, № 10, გვ. 149-161.

3) ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში, „სტატიის გამო „ხმა სოხუმიდან“, გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ნუგზარ პაპუაშვილმა, თბილისი, 2005.

4) ელდარ ბუბულაშვილი, ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, წგნ. „ქრისტიანობა საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევები)“, თბილისი, 2000.

5) გია ბულაძე, პირადი არქივიდან (მემორანდუმის ტექსტი და არტურ ლაისტის წერილი), გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბილისი, 1989, 30/VI, გვ. 14.

6) ჯემალ გამახარია, წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, თბილისი, 2006.

7) ვახტანგ გურგენიძე, ამბროსი ხელაია, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, „წმ. მარიამის წილხვედრი ქვეყანა“, წგნ. II, თბილისი, 1997.

8) ვახტანგ გურგენიძე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია, ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 1997, № 1.

9) სერგო ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1927 წლებში, თბილისი, 2000.

10) სერგო ვარდოსანიძე, 1917-1977 წლების მატთანე, წგნ. „ნათელი ქრისტესი საქართველო“ (მიძღვნილი სრულიად საქართველოს კათო-

ლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაბადების 70 წლისთავისადმი), წგნ. I, თბილისი, 2003, გვ. 467-483.

11) სერგო ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927 წწ.), თბილისი, 2005.

12) ვაჟა კიკნაძე, ამბროსი ხელაიას უცნობი წერილი კირიონ საძაგლიშვილისადმი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებული, ტ. I (ისტორიის სერია), 2001.

13) გივი კობახიძე, კათალიკოსი ამბროსი, გაზ. „მადლი“, თბილისი, 1996, 28/VI, № 5, გვ. 3-4.

14) თ. კოლხელი, საქართველოს წამებული პატრიარქი – ამბროსი თავდადებული, გაზ. „აია“, 1997, № 2, გვ. 112.

15) ქეთევან ნადირაძე, ამბროსი, წგნ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, თბილისი, 2000, გვ. 188-193.

16) ირმა ნიჟარაძე, მე აღვასრულე ჩემი ვალი, გაზ. „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 1998, 23/XI, გვ. 5.

17) ზ. ჟვანია, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მღვდელმთავარი 1917 წლიდან, ქუთაისი, 1994.

18) ზ. ჟვანია, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი, გაზ. „სახალთის ზარები“, 1996, № 3.

19) გოჩა საითიძე, გზა ავტოკეფალიის აღდგენისაკენ, წგნ. „ნათელი ქრისტესი საქართველო“ (მიძღვნილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაბადების 70 წლისთავისადმი), წგნ. I, თბილისი, 2003, გვ. 447-453.

20) გოჩა საითიძე, ერის სულიერი მამა (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია), გაზ. „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2004, 2-8/VI, № 16, გვ. 14; 9-15/VI, № 17, გვ. 14; 16-22/VI, № 18, გვ. 11,14.

21) გოჩა საითიძე, საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა 1917 წელს, ჟურნ. „რელიგია“, თბილისი, 1992, № 11, გვ. 3-21.

22) გოჩა საითიძე, წამებული ივერიის ეკლესიისა (ამბროსი ხელაია), გაზ. „სახალხო გაზეთი“, თბილისი, 1999, 23-29/III, № 179, გვ. 12-13.

23) გოჩა საითიძე, წამებული მშობელი ქვეყნისა და ეკლესიისათვის (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია), სამეცნიერო კრებული „ისტორიანი“, თბილისი, 2000, გვ. 77-94.

24) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია (სილუეტი), ედიშერ გიორგაძის წინათქმით, თბილისი, 1994.

25) ანა ჩხეიძე, წმინდა ამბროსი აღმსარებელი, გაზ. „კვირის პალიტრა“, თბილისი, 2000, 27/II-2/IV, № 13, გვ. 4.

26) გოგი ცხოვრებაძე, გენუის კონფერენცია და საქართველოს საკითხი, „ქართული დიპლომატია“ (წელიწდეული), ტ. 3, თბილისი, 1996.

27) შუქრი ქელიძე, „სრულიად საიდუმლო“ დოკუმენტები წმინდა ამბროსის შესახებ, გაზ. „მადლი“, თბილისი, 1996, 25/X, № 7-8, გვ. 12-13.

28) მ. ხუციშვილი, ს. ლეკიშვილი, კვლავ ამბროსი ხელაიას საქმის გამო, ჟურნ. „მნათობი“, თბილისი, 1989, № 9.

IV

შემაჯავებელი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

ა) ნაშრომები

1. ამბროსი ხელაიას საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში“.

1901 წ., მიკროფირი.

2. ა) იორონომახ ვიქტორ გიორგაძის ბიოგრაფია და ზეპირგადმოცემები მისი ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, შეკრებილი მოსე მარკოზის ძე გიორგაძის მიერ.

პირი: მიქელა გიორგაძე (მარკოზის მამა), ამბის მთხრობელები: ბასელა კა-პანაძე (სოფ. სვირის მკვიდრი), გაბრიელ ბოჭორიშვილი, ანდრია ბოჭორიშ-ვილი (ძმისშვილი გაბრიელისა, ასევე ვიქტორ გიორგაძის ნათლული), სიმონ და პეტრე გიორგაძეები, ელისაბედ აბაშიძე (ალმასხან ნიჟარაძის მეუღლე).

ტოპონიმი: სვირი, ახალციხე.

1908 წ., 14 აგვისტო, ანტონ მოსეს ძე გიორგაძის ავტოგრაფი, დაუმთავრე-ბელი, ახლავს ამბროსი ხელაიას მინაწერები ფანქრით:

„ძველი ჭელიშის რვეული მღვდელმონაზონ ბიქტორ გიორგაძეზე იხ. გვ. 24“, „იხ. ძველი რვეული: „ჭელიშის მონასტრის საეკ. ნივთი“ გვ. 24“; „ამა. ბიკ. გიორგაძეზე, იხ. ჯრუჭის მონასტერი (კარბელაშვილი პოლ. აქვს)“, 10 ფ.

ბ) ამბროსი ხელაია – „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“.

რაჭა-ლეჩხუმის სოფლების, ეკლესია-მონასტრებისა და სიძველეების აღწერა.

პირი: ალექსანდრე მესხი (მღვდელი), მიხეილ მანდარია (მღვდელმონაზონი), ვლ. ბოჭორიშვილი (სოფელ ლაბეჭინას მღვდელი), ბოჭორიშვილი (სოფელ თაბორის მღვდელი), დავით ქარსელაძე (სოფელ თაბორის მღვდელი), ალექსანდრე გერსამია (ცაგერში მცხოვრები მღვდელი), მაკარი ფიფია (ნამარ-ნევის მონასტრის მღვდელმონაზონი), გერასიმე ფუტყარაძე (მღვდელ-მო-ნაზონი, ამბროსი ხელაიას ბებუის მამა), მღვდელ-მონაზონ მიხეილ მანდა-რიას მამა-პავლე (სოფ. ისუნდარას მკვიდრი), ს. ჭელიძე (სოფ. საკეცისა

მღვდელი), თავადი ქაიხოსრო ყიფიანი (სოფ. ხვანჭკარას მკვიდრი), ონოფრე გამზარდია (ამბროსი ხელაიას თანამგზავრი სოფელ წვადისში), ჯაფარიძე (სოფელ სხარტალის ეკლესიის დეკანოზი), ნასიძე (სოფ. ბეთლემის მოძღვარი), ივანე კვიტაშვილი (სოფ. ჯვრისას მემამულე), ალექსანდრე (მღვდელმონაზონი, ამბროსი ხელაიას თანამგზავრი რაჭაში 1904 წ.), სამსონ დათეშვიძე (ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მასწავლებელი, სოფ. გორის მკვიდრი), გ. კერესელიძე (სტუდენტი), სოკოლოვი (მოსკოველი სტუდენტი), ყარამან იაშვილი, სოფ. ხიმშის მკვიდრი), გორდეზიანი (სოფ. ონის დეკანოზი).

ტოპონიმი: ნიკორწმინდა, აგარა, ხოტევი, კვირიკეწმინდა, ხონიჭორი, ნამარნევი, ზედა შავრი, პატარა ონი, ლადიში, ქვიშარი, ლაბეჭინა, ყყვიში, თაბორი, ლაილაში, უსახელო, ახალჭალა, ორბეთი, ცაგერი, ბარდნალა, ქულბაქი, ზუბი, ისუნდარა, ოყურეში, ოპიტარა, ლაჭეპიტა, მარუსა, ნაყურალეში, ნასპერა, ალპანა, ქედისუბანი, ბუგეული, საკეცია, ხვანჭკარა, მიქარწმინდა, გორისუბანი, ბეთლემი, სხარტალი, წვადისი, ჯვარისა, ინა, გორი, წესი, სორი. 1915 წ., ნოემბერი, ქართულ და რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, ახლავს ამბროსი ხელაიას მინაწერები: „(1367) 15. ყოველი დღის ლოცვები“, „გადან. № 17“. დაბეჭდილია“. 373 ფ.

3. ამბროსი ხელაია – „ბედიის ტაძარი“.

უთარილო, ავტოგრაფი, ბოლონაკლული, მოხეული აქვს ბოლო ფურცელი, დაზიანებული, ახლავს მინაწერი სხვა ხელით: „ავტორი ამბროსი ხელაია, შემომწირველი – დავით კასრაძე. გ. ჯაკობია“, 53 ფ.

დაბეჭდილია: ჯ. გამახარია, წმინდა ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი, 2006 თბ., გვ. 620-676.

ბ) სიტყვები და ქადაგებები

4. სიტყვა იაპონიასთან სამხედრო მოქმედებების წამოწყებასთან დაკავშირებით. თვლის, რომ ეს არის ომი ორ კულტურას – ევროპულსა და აზიურს, ქრისტიანობასა და წარმართობას შორის.

1904 წ., 1 თებერვალი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 1 ფ.

5. ქადაგება აღსარებისათვის.

1904 წ., 12 თებერვალი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, ახლავს შენიშვნები ფანქრით, დაზიანებულია, 2 ფ.

6. რუსეთის მიერ იაპონიასთან წამოწყებული ომისა და ორგანიზაცია – „წითელი ჯვრის“ დახმარებით ტაძარში შემწეობების შეგროვების თაობაზე.

1904 წ., 7 მარტი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ნასწორებია ფანქრით, დაზიანებულია, 4 ფ.

7. ქადაგება გარდამოხსნის დღეს თქმული.

ღირსნი ვართ თუ არა ვინოდებოდეთ ქრისტიანებად.

1904 წ., 26 მარტი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, დაზიანებულია, 3 ფ.

8. ქადაგება ამაღლებისა და ნიკოლოზობის დღესასწაულზე. ქადაგებს ყოველი ადამიანის, როგორც ეკლესიისა და სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილის მოვალეობებზე. დაწერილია იმპერატორ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის დაბადების დღეებში.

1904 წ., 6 მაისი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, ნაკლული, ახლავს მინაწერი სხვა მელნით, 4 ფ.

9. სიტყვა წარმოთქმული უსტმედვედსკოეს სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა გამოშვების დღეს.

1904 წ., 13 ივნისი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 2 ფ.

10. სიტყვა უსტმედვედსკოეს სასულიერო სასწავლებლის აღსაზრდელთა მიმართ ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით.

1904 წ., 26 აგვისტო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, დაზიანებულია, 2 ფ.

11. მისასალმებელი სიტყვა ყოვლადუსამღვდელოესი მღვდელმთავრის უსტმედვედსკოეს სასულიერო სასწავლებელში სტუმრობისათვის. მადლობას უხდის მამობრივი მზრუნველობისათვის. აცნობებს, რომ სასულიერო სასწავლებელში უცხო ენოვან მოსწავლეთა მიღება უკიდურესად გართულებულია.

1904 წ., 4 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, დაზიანებულია, 2 ფ.

12. ქადაგება ღვთისმშობლის კვართის დღესასწაულზე.

ეხება ამ დღესასწაულის ისტორიას.

1904 წ., 1 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, დაწერილია ჭვირნიშნით ქაღალდზე, 6 ფ.

13. სიტყვა ახალი წლის დღეს.

1905 წ., 1 იანვარი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, დაწერილია ჭვირნიშნით ქაღალდზე, 4 ფ.

14. სიტყვა წმ. სინოდის მიმართ 9 იანვარს პეტერბურგში ძმათაშორის სისხლისმღვრელი მოვლენის შესახებ.

1905 წ., 30 იანვარი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, დაწერილია ჭვირნიშნიან ქაღალდზე, 2 ფ.

- 15.** სიტყვა რუსეთში ბატონყმობის საბოლოოდ გაუქმების შესახებ.

1905 წ., 19 თებერვალი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, დაწერილია ჭვირნიშნიან ქაღალდზე, 4 ფ.

- 16.** ქადაგება სინანულის შესახებ, როგორც ერთადერთი გზა, საშუალება შევიგრძნოთ ღვთის სასუფეველი დედამიწაზე.

1905 წ., 27 თებერვალი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, დაუმთავრებელი, 2 ფ.

- 17.** ქადაგება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მინიერი ცხოვრების შესახებ.

1905 წ., 25 მარტი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, დაწერილია ჭვირნიშნიან ქაღალდზე, დაზიანებულია, 4 ფ.

- 18.** სიტყვა უსტემედვედსკოეს სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა მიმართ.

1905 წ., 31 მაისი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, დაწერილია ჭვირნიშნიან ქაღალდზე, დაზიანებულია, 4 ფ.

- 19.** მისასალმებელი სიტყვა უსტემედვედსკოეს სასულიერო სასწავლებლის სტუდენტთა მიმართ ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით.

1905 წ., 27 აგვისტო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 2 ფ.

- 20.** ქადაგება წმ. ალექსანდრე ნეველის ხსენების დღეს.

1905 წ., 30 აგვისტო, რუსულ ენაზე, ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი, ავტოგრაფი, 2 ფ.

- 21.** სიტყვა უსტ-მედვედსკოეს სასულიერო სასწავლებლის აღსაზრდელების მიმართ ღვთისმშობლის კვართის დღესასწაულზე.

1905 წ., 1 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ტექსტი ნასწორებია ზოგან ფანქრით, 6 ფ.

- 22.** ქადაგება იმის შესახებ, რომ ძმათამკვლელი ომის დღეებში უნდა გვახსოვდეს ღვთის წინაშე თითოეული ადამიანი თანასწორია და ქრისტესმიერი სიყვარული უნდა გვქონდეს ერთმანეთის მიმართ.

1905 წ., 21 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, დაწერილია უსტ-მედვედსკოეს სასულიერო სასწავლებლის ოფიციალურ ფურცელზე, 2 ფ.

- 23.** სიტყვა 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის შესახებ.
1905 წ., 23 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ახლავს შენიშვნები წითელი ფანქრით, 2 ფ.
- 24.** გამოსამშვიდობებელი სიტყვა თქმული უსტმედვედსკოეს სასწავლებელში.
[1906 წ.], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ნასწორებია ფანქრით, დაწერილია ჭვირნიშნით ქაღალდზე, 2 ფ.
- 25.** გამოსამშვიდობებელი სამადლობელი სიტყვა უსტ-მედვედევის სასულიერო სასწავლებლის ეკლესიაში წარმოთქმული.
[1906 წ.], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ახლავს შენიშვნები ფანქრით, 4 ფ.
- 26.** გამოსამშვიდობებელი სიტყვა, თქმული ნოვგოროდის ეპარქიის მრევლის მიმართ.
[1906 წ.], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ახლავს ჩამატება ფანქრით, 2 ფ.
- 27.** ქადაგება ხარების დღესასწაულზე.
1907 წ., 23 მარტი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, ფანქრით, ახლავს მინაწერი: „ნიკონ ეგზარქოსის რეზოლუცია“, 6 ფ.
- 28.** სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედართან წარმოთქმული.
1907 წ., 8 სექტემბერი, ავტოგრაფი, შავი, 2 ფ.
- 29.** ქადაგება ამაღლების დღესასწაულზე.
1908 წ., 20 მაისი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, აქვს მინაწერები ზოგან ფანქრით, დაზიანებულია, 7 ფ.
- 30.** ქადაგება შრომის აუცილებლობის შესახებ.
1908 წ., [28 ივნისი], ავტოგრაფი, დაზიანებულია, 2 ფ.
- 31.** საშობაო ქადაგება.
1909 წ., [25 დეკემბერი], რიაზანის მონასტერი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, დაწერილია ჭვირნიშნით ქაღალდზე, ახლავს ამბროსი ხელაიას მინაწერი: „ჩემი“, დაზიანებულია, 4 ფ.
- 32.** ქადაგება მართლმადიდებლობის ზეიმის კვირას თქმული. ამ დღესასწაულის წარმოშობისა და ხატმებრძოლეობის ერესის ისტორია.
1910 წ., [8 მარტი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, ახლავს ამბროსი ხელაიას მინაწერი ფანქრით: „საკუთარი“, 2 ფ.

33. ქადაგება რწმენის მნიშვნელობისათვის.

1910 წ., [15 მარტი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ახლავს ამბროსი ხელაის მინანერი: „ამნაირივე იყვნენ ისინიც, რომელნიც მას უსმენდნენ კაპერნაუმი... ჩვენ? ამ დღეებში დავრწმუნდი...“ ტექსტს თავსა და ბოლოში ფანქრით აქვს მინანერი: „საკუთარი“, დაზიანებულია, გახეულია შუაში, 2 ფ.

34. ქადაგება ჯვართამაღლების კვირას.

ქრისტეს მცნებების თანახმად, თითოეული ჩვენგანი ვალდებულია თავდადებით ატაროს თავისი ჯვარი.

1910 წ., 21 მარტი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, 2 ფ.

35. ქადაგება დიდი მარხვის მეხუთე კვირას. მარიამ ეგვიპტელის ხსენების დღე.

1910 წ., [29 მარტი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, დაზიანებულია, 4 ფ.

36. ქადაგება ბზობის დღესასწაულზე.

მერყეობის შესახებ საერთოდ და განსაკუთრებით რწმენის საქმეში.

1910 წ., [11 აპრილი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, დაზიანებულია, 4 ფ.

37. საადგომო ქადაგება.

1910 წ., [18 აპრილი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, 2 ფ.

38. სტარაია-რუსას წმ. გიორგის სახელობის ტაძარში თქმული, ტაძრის 500 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1910 წ., 23 აპრილი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, 2 ფ.

39. ბრწყინვალე შვიდეულის კვირას.

როგორი ხასიათი ჰქონდეს ჩვენს სიხარულს ამ ბრწყინვალე დღეებში.

1910 წ., [25 აპრილი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, თეთრი და შავი ვარიანტები. ახლავს ამბროსი ხელაის მინანერი: „საკუთარი“, 4 ფ.

40. ა) სიტყვა სტარაია-რუსაში მცხოვრები მემთვრალეობის სენით შეპყრობილთა მიმართ ღვინის ბოროტად მოხმარებისა და წმინდა წერილის მნიშვნელობის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, დაუმთავრებელი.

ბ) ფრიდრიხ იანსონის მტკიცების ბარათი სპასო-პრეობრაჟენსკოეს მონასტერში გაწეული სამუშაოების საფასურის თაობაზე.

1910 წ., 1 მაისი, რეველი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, დაწერილია ფრიდრიხ იანსონის ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ.

41. ქადაგება სტარაია-რუსას ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულზე თქმული.

1910 წ., 4 მაისი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ახლავს ამბროსი ხელაიას მინაწერი: „საკუთარი“, 4 ფ.

42. ქადაგება განრღვეულის კვირას თქმული.

ქრისტიანისათვის მოწყალების მნიშვნელობის შესახებ.

1910 წ., 9 მაისი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ახლავს ამბროსი ხელაიას მინაწერი: „საკუთარი“.

43. ქადაგება წმიდა მამათა ხსენების კვირას.

არიანობის მაგალითზე გვიჩვენებს, თუ რამდენად საშიშია რწმენის საქმეში საკუთარი გონებით ხელმძღვანელობა ღვთის შემწეობის გარეშე.

1910 წ., 30 მაისი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ახლავს ამბროსი ხელაიას მინაწერი: „საკუთარი“, 2 ფ.

44. ქადაგება სამებობის დღესასწაულზე.

სული წმიდის შესახებ.

1910 წ., [7 ივნისი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ახლავს ამბროსი ხელაიას მინაწერი: „საკუთარი“, 2 ფ.

45. სიტყვა ზახაროვის ქარხანაში მომუშავე მემთვრალეთა გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

1910 წ., 13 ივნისი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, 2 ფ.

46. ა) სტარაია-რუსას სპასო-პრეობრაჟენის მონასტრის არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას მტკიცების წერილი იმის შესახებ, რომ მან მონასტრის მენისქვილე იაკობ იაკოვლევის ძის ჯავაკოვისგან მიიღო 1910 წლის მეორე ნახევრის არენდის საფასური (50 მანეთი).

1919 წ., 29 ივნისი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 1 ფ.

ბ) ქადაგების ფრაგმენტი მემთვრალების სენით შეპყრობილ ადამიანთა მიმართ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, 2 ფ.

47. ქადაგება თანამედროვე საზოგადოებაში ქადაგების მიმართ უგულისყოფილ დამოკიდებულების შესახებ.

1910 წ., [25 ივლისი], ორი ქადაგება, ამათგან პირველი დაუმთავრებელი, ახლავს ამბროსი ხელაიას მინაწერი: „საკუთარი“.

მეორე ქადაგება უთარილოა, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, 3 ფ.

48. ქადაგება ქრისტიანული თვალთახედვით ამქვეყნიური საზრუნავის, მატერიალური შესაძლებლობებისა და მიწიერი სიმდიდრის შესახებ.

1910 წ., [1 აგვისტო], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ახლავს ამბროსი ხელაიას მინაწერი: „საკუთარი“, დაზიანებულია, 2 ფ.

49. ქადაგება ქრისტიანული მოვალეობებისათვის.

ამქვეყნიური საზრუნავი არ გვიშლის ხელს ვიყოთ ჭეშმარიტი ქრისტიანები და დავიმსახუროთ საუკუნო ცხოვრება.

1910 წ., 8 აგვისტო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, დანერილია სტარაია-რუსას მონასტრის ოფიციალურ ქაღალდზე, 2 ფ.

50. ქადაგება იოანე ნათლისმცემლის მოწამეობრივი აღსასრულის მიზეზთა შესახებ.

1910 წ., 22 აგვისტო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, დაზიანებულია, 2 ფ.

51. ქადაგება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის დღესასწაულზე.

1910 წ., [9 სექტემბერი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 2 ფ.

52. ქადაგება ჯვართამაღლების დღესასწაულზე.

1910 წ., 14 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, პირველი ფურცელი დაზიანებულია, 4 ფ.

53. ქადაგება 318 წლიანი განშორების შემდეგ სტარაია-რუსას ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის ტიხვინიდან დაბრუნების თაობაზე.

1910 წ., 18 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ახლავს ამბროსი ხელაიას მინაწერი: „ჩემი“, 2 ფ.

54. ქადაგება წმინდა ნანილთა გამობრძანების შესახებ სტარაია-რუსას მონასტერში.

1910 წ., 19 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ახლავს ამბროსი ხელაიას მინაწერი: „საკუთარი“, 2 ფ.

55. ქადაგება 12 მოციქულთაგან ერთ-ერთის – იოანე ღვთისმეტყველის ხსენების დღეს.

1910 წ., 26 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ახლავს ამბროსი ხელაიას მინაწერი: „ჩემი“, 2 ფ.

56. ქადაგება ეკლესიის მნიშვნელობისათვის.

1910 წ., 1 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ახლავს ამბროსი ხელაიას მინაწერი: „საკუთარი“.

57. ქადაგება იმის შესახებ, თუ რატომ გვიძნელდება ღვთის მცნებების დაცვა.

1910 წ., 14 ნოემბერი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ახლავს ამბროსი ხელაიას მინაწერი: „ჩემი, 1/2“, 2 ფ.

58. ქადაგება ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულზე.
ღვთისმშობლის მინიერი ცხოვრების შესახებ.

1910 წ., 21 ნოემბერი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, დაზიანებულია, 2 ფ.

59. ქადაგება ახალგაზრდებისათვის.

თხოვნით მიმართავს, თავი აარიდონ ცდუნებას და მთელი ყურადღება ღვთისკენ მიმართონ.

1910 წ., [12 დეკემბერი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ახლავს ჩამატებები ფანქრით, აქვს ამბროსი ხელაიას მელნით მინაწერი: „ჩემი. არ თქმულა, რადგან ამ დღეს წირვა არ შემისრულებია“... 2 ფ.

60. ქადაგება შობის დღესასწაულის წინა კვირას, რომში მოღვაწე III საუკუნის წმინდანის ბონიფატეს, მისი რწმენის და სინანულის შესახებ.

1910 წ., დეკემბერი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, დაზიანებულია, 2 ფ.

61. საშობაო ქადაგება.

1910 წ., 26 დეკემბერი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, დაზიანებულია, 2 ფ.

62. მისასალმებელი სიტყვა სპასო-პრეობრაჟენსკოეს მონასტერში პირველად მისვლისას.

[1910 წ.], რუსეთი, ნოვგოროდის ეპარქია, ქ. სტარაია-რუსა, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ახლავს ბოლოში ამბროსი ხელაიას მინაწერი ფანქრით: „საკუთარი“, დაზიანებულია, 2 ფ.

63. სიტყვა, წარმოთქმული ახალი წლის ღამეს.

1911 წ., [1 იანვარი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, დაზიანებულია, 2 ფ.

64. ქადაგება ნათლისღების დღესასწაულზე.

იოანე ნათლისმცემლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

1911 წ., 6 იანვარი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ახლავს ამბროსი ხელაიას მინაწერი ფანქრით: „თქმულია 1920 წ. სოხუმში“, დაზიანებულია, 2 ფ.

- 65.** ქადაგება ნათლისღების დღესასწაულზე.
1911 წ., 6 იანვარი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ახლავს ამბროსი ხელაიას მინაწერი: „საკუთარი“, დაზიანებულია, 2 ფ.
- 66.** ქადაგება სულიერი სიბრმავისათვის.
1911 წ., 16 იანვარი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 2 ფ.
- 67.** ქადაგება მეზვერე ზაქეს შესახებ.
მოიხსენიებს ამ დღის წმინდანებს: ეპისკოპოს კლიმენტი არეოპაგელსა და ნინევიის ეპისკოპოს პავლეს.
1911 წ., 23 იანვარი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ახლავს ამბროსი ხელაიას მინაწერი: „ჩემი!...“, 2 ფ.
- 68.** ქადაგება უძღვრე შვილის შესახებ.
1911 წ., 5 თებერვალი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, დაზიანებულია, ჩასწორებულია ფანქრით, 2 ფ.
- 69.** ქადაგება ღვთის საშინელი სამსჯავროს შესახებ.
1911 წ., [13 თებერვალი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, ახლავს მინაწერი სხვა მელნით ამბროსის ხელით დაწერილი: „საკუთარი ამბროსი“.
- 70.** ქადაგება მეზვერისა და ფარისევლის კვირას.
ლოცვის მნიშვნელობა ცხონების საქმეში.
1911 წ., [14 თებერვალი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ახლავს ამბროსი ხელაიას მინაწერი: „საკუთარი“, სარესტავრაციო, 2 ფ.
- 71.** ქადაგება სინანულისათვის.
1911 წ., [20 თებერვალი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ჩასწორებულია ზოგან ფანქრით, ახლავს მინაწერი ფანქრით: „ჩემი“, დაზიანებულია, 2 ფ.
- 72.** ქადაგება წარმოთქმული სინანულის დღეს.
1911 წ., [28 თებერვალი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, დაწერილი სხვა მელნით: „საკუთარი“, 2 ფ.
- 73.** ქადაგება მართლმადიდებლობის კვირას თქმული ხატთაყვანისმცემლობის მნიშვნელობის შესახებ.
1911 წ., [28 თებერვალი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, დაზიანებულია, 2 ფ.
- 74.** ქადაგება ადამიანის შინაგანი ბუნების, გონებისა და გულის სულიერად დასნეულების შესახებ.
1911 წ., [1 მარტი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ახლავს მინაწერი ფანქრით, რომელიც არ იკითება, სარესტავრაციო, 2 ფ.

75. ქადაგება ჯვარის თაყვანისცემის კვირას.

1911 წ., [6 მარტი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ახლავს ამბროსი ხელაიას მინანერი სხვა მელნით: „საკუთარი“, დაზიანებულია, 2 ფ.

76. ქადაგება იმის შესახებ, რომ ღვთისმშობლის ცხოვრების მაგალითზე როგორ უნდა ვიცხოვროთ თანახმად ღვთის სიტყვისა და ვიყოთ მისი მორჩილნი.

1911 წ., 25 მარტი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, სარესტავრაციო, 2 ფ.

77. ქადაგება ბზობის დღესასწაულზე.

რა დამღუპველი შედეგები მოჰყვება მერყეობას რწმენის საქმეში.

1911 წ., [3 აპრილი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, სარესტავრაციო, 2 ფ.

78. ქადაგება ბზობის დღესასწაულზე.

მწუხრის ლოცვაზე ფხიზლობის შესახებ.

1911 წ., [3 აპრილი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, ახლავს ამბროსი ხელაიას მინანერი ფანქრით: „საკ.“, 2 ფ.

79. ქადაგება გარდამოხსნის დღეს.

1911 წ., [8 აპრილი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, დაწერილია ერთ ფურცელზე, სულ 2 ფ.

80. სააღდგომო ქადაგება.

1911 წ., [10 აპრილი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, დაუმთავრებელი დაწერილია ერთ ფურცელზე, სულ 2 ფ.

81. ქადაგება აღდგომის დღესასწაულის მეორე დღეს ჯოჯოხეთის შემუსვრის, ჩვენი ხსნისა და სულიერი სიხარულის შესახებ.

1911 წ., [11 აპრილი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, დაზიანებულია, 2 ფ.

82. ქადაგება თომას კვირას.

ორი სახის ურწმუნოების შესახებ.

1911 წ., [17 აპრილი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ახლავს ამბროსი ხელაიას მინანერი: „ჩემი – ამ დღეს ძალიან ცოტა მლოცველებია ეკლესიაში, რადგან სობორის დღეობა“, 2 ფ.

83. ქადაგება მენელსაცხებლე დედათა კვირას.

1911 წ., [24 აპრილი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი დაზიანებულია, 2 ფ.

84. ქადაგება სტარაია-რუსას ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულზე.

1911 წ., 4 მაისი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ახლავს ამბროსი ხელაიას მინაწერი ფანქრით: „საკუთარი“, 2 ფ.

85. ქადაგება სამარიტელის კვირას.

1911 წ., [8 მაისი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ნასწორებია ფანქრით, დაზიანებულია, 2 ფ.

86. ქადაგება ნიკოლოზობის დღესასწაულზე.

ნმ. ნიკოლოზის ნაწილთა გადატანის შესახებ ბარში.

1911 წ., 9 მაისი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, 2 ფ.

87. ქადაგება ამაღლების დღესასწაულზე.

1911 წ., [20 მაისი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, ახლავს ამბროსი ხელაიას მინაწერი: „ჩ[ემი]“, დაზიანებულია, 2 ფ.

88. ქადაგება სულთმოფენობის დღესასწაულზე.

1911 წ., 29 მაისი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, 2 ფ.

89. ქადაგება I და II საეკლესიო კრებების მონაწილე წმიდა მამების ხსენების დღეს.

1911 წ., [29 მაისი], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, დაზიანებულია, 2 ფ.

90. ქადაგება ღვთაებრივი ჭეშმარიტების გადმოცემის შესახებ წმიდა ნერილის საშუალებით.

1911 წ., 5 ივნისი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 2 ფ.

91. ქადაგება ნოვგოროდელი წმინდანის ღირსი მამა ვარლამ ხუტინელის ხსენების დღეს.

1911 წ., 10 ივნისი, კოსინის მონასტერი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 2 ფ.

92. ქადაგება იმ ნიშანთა შესახებ, რომლითაც შეიცნობა ბიბლიის ღვთიური წარმოშობა, როგორც ღვთის სიტყვის ჭეშმარიტება.

1911 წ., 19 ივნისი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 2 ფ.

93. ქადაგება რა საშუალებებით უნდა გამოვხატოთ ჩვენი პატივისცემა წმინდანების მიმართ და ამ შემთხვევაში წმ. მიქაელ კლონელის მისამართით.

1911 წ., 23 ივნისი, კლონსკის მონასტერი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 2 ფ.

94. ქადაგება სინანულისთვის.

1911 წ., 26 ივნისი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 2 ფ.

95. ქადაგება ყაზანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულზე.

1911 წ., 8 ივლისი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, დაზიანებულია, 2 ფ.

96. ქადაგება წმიდა წერილის ჭეშმარიტების შესახებ.

ქრისტიანობას ადარებს მაჰმადიანობასთან.

1911 წ., 24 ივლისი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 2 ფ.

97. სიტყვა პროტოიერარქ იოანე სმელკოვის წესის აგების დღეს თქმული.

ბოლო გვერდზე არის არქიმანდრიტ ამბროსის მიმართვა პერეკონსკის მონასტრის იეროდიაკონ ევგენიას, საიდანაც ირკვევა, რომ ნოვგოროდის სასულიერო კონსისიტრის 1911 წლის 20 მაისის № 7119 ბრძანებით, ამბროსი ხელაია დაინიშნა მონასტრის ბლალჩინად.

1911 წ., 25 ივლისი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, დაწერილია სტარაიარუსას მონასტრის ოფიციალურ ბლანკზე, 2 ფ.

98. ქადაგება ქრისტიანობის მაცხოვრებელი ძალის შესახებ სახელმწიფოებრივ, ოჯახურ და პირად ცხოვრებაში.

1911 წ., 7 აგვისტო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 2 ფ.

99. ქადაგება წმიდა წერილის წაკითხვის აუცილებლობისათვის.

1911 წ., 14 აგვისტო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 2 ფ.

100. ქადაგება მარიამობის დღესასწაულზე.

1911 წ., 15 აგვისტო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, დაზიანებულია, 2 ფ.

101. ქადაგება მსოფლიო საეკლესიო კრებების მნიშვნელობის შესახებ.

მოიხსენიების იმ დღის წმინდანებს მოსე მურსა და შუშანიკს.

1911 წ., 28 აგვისტო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 2 ფ.

102. ქადაგება ალექსანდრე ნეველის ხსენების დღეს.

1911 წ., 30 აგვისტო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 2 ფ.

103. ქადაგება მართლმადიდებლობის სიმბოლოს შესახებ.

ქადაგებს XVIII საუკუნის წმინდანზე, ბელგოროდის ეპისკოპოს იოსებზე.

1911 წ., 4 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 2 ფ.

104. ქადაგება ღვთაებრივი ბუნების შეცნობის გზების შესახებ.

1911 წ., 8 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 2 ფ.

105. ქადაგება ჯვართამაღლების დღესასწაულზე.

უფლის მართლმსაჯულებისა და წყალობის შესახებ.

1911 წ., 14 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 2 ფ.

106. ქადაგება ორი დიდი დღესასწაულის შესახებ: 1. ტიხვინიდან სტარაია-რუსას ღვთისმშობლის ხატის დაბრუნების 31 წლისთავი; 2. ამ მონასტერში მცხოვრებ ბერ-მონაზონთა წმინდა ნაწილთა ხსენების დღე.

1911 წ., 18 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 2 ფ.

107. ქადაგება ზეციური მფარველი ანგელოზების შესახებ.

1911 წ., 1 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 2 ფ.

108. ქადაგება ღვთის მიერ შექმნილი ხილული და უხილავი (ანგელოზებრივი) სამყაროსა და იმ ადამიანთა შესახებ, რომელნიც ამას უარყოფენ.

